# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 205 (5546)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## პუტინი საქართველოს სიშლეგეს არ ელოდა...



6

ვის დააყრევინებს თავებს რუსეთის პრეზიდენტი?

◎ დიდი პოლიტიკა

## თხუთმეტწლიანი თვალთმაქცობის შედეგ

11

## ამას მგზავრობა ჰქვია?!

9



ყვითელ ავტობუსებში ზედახორაა





## ევროკავშირი საქართველოს გამოესარჩლა

10



12

## შალიკაშვილი უხმოდ რომ უბნობს, იმიტომ არ გესმის, ხელისუფალო?!.

## ფული, უზნეო პოლიტიკასავით, გაფოლდა – გაუფასურდა!

4



## ციხისელმა „მრისხანე“ გვარი გაამართლა

8



იკითხეთ ყველაზე სანდო, მართალი გაზეთი, რომელსაც თქვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!

მთავრობა

# ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონა გვექნება?

## სოფლის მეურნეობის სამინისტროში „ინტერკონტინენტალის“ სასტუმრო განთავსდება

**მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ ენგურჰესის მე-3 აგრეგატის ორწლიანი ტესტირება საბოლოოდ დასრულდა.**

ნიკა გილაურმა ბაქოში ვიზიტზეც გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ შეთანხმება მიღწეულია ელექტროენერგიის იმპორტზე, აზერბაიჯანის ქსელთან პარალელური რეჟიმი დამყარდება, ანუ ზამთარში შემოვიტანთ ელექტროენერგიას და ზაფხულში უკან დავუბრუნებთ.



მინისტრის თქმით, დღევანდელი ენერგობალანსის მიხედვით, ზამთარში რუსეთის იმპორტი გათვალისწინებული არც ყოფილა, გათვალისწინებულია მხოლოდ პარალელურ რეჟიმში მუშაობა აზერბაიჯანთან ან რუსეთთან. სასურველია ეს მოხდეს რუსეთთან, რადგან „კავკასიონის“ ხაზი აზერბაიჯანთან დამაკავშირებელ ხაზთან შედარებით უფრო დიდი გამტარობისაა.

დაგეგმილია, აგრეთვე, თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტიც.

გილაურის თქმით, 22 ოქტომბერს ირანში ვიზიტის დროს მოლაპარაკებები გაიმართება ელექტროენერგიის გაცვლაზე, რის თაობაზეც ერევანში უკვე ხელი მოეწერა დოკუმენტს. ელექტროენერგია გაიცვლება ზამთარ-ზაფხულში ერთი-ერთზე, კილოვატ საათებით: „ეს მომგებიანია, რადგან იქ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ზამთართან შედარებით ზაფხულში უფრო მეტია. ზამთრის ელექტროენერგიას კი განსხვავებული ფასი ადევს,“ თქვა გილაურმა.

ამ ეტაპზე 50 მეგავატი ელექტროენერგია გაიცვლება, თუმცა სამომავლოდ ეს რაოდენობა გაორმაგდება.

გაზზე კი, გილაურის ცნობით, რუსულ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს თავად კომპანიები აწარმოებენ; თუმცა, ჯერჯერობით მისთვის უცნობია, მოწოდებული გაზის ფასი.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ არ დაადასტურა ინფორმაცია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში ჰილტონის სასტუმროთა ჯგუფის განთავსების შესახებ.

მინისტრის თქმით, შენობაში „ინტერკონტინენტალის“ სასტუმრო დაიდებს ბინას.

„ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ხელისუფლება მოწოდებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, აჭარაში ტურისტების რაოდენობამ ორჯერ იმატა. ვფიქრობთ, შესაბამისი ინფრასტრუქტურების არსებობის შემდეგ თბილისშიც იგივე განმეორდება“, თქვა მინისტრმა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობაზეც ილაპარაკა. მისი აზრით, საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის ორმხრივად ამოქმედებას უახლოეს ხანებში მიაღწევს: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თავისუფალი სავაჭრო ზონა ევროკავშირთან გვქონდეს, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენს სურვილებზე არ არის დამოკიდებული. ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს, ულირს თუ არა საქართველოსთან ასეთი ურთიერთობა“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის აზრით, ევროპასაც და საქართველოსაც თავისუფალი სავაჭრო ზონის ამოქმედება ერთნაირად აძლევთ ხელს. „მართალია, დღეს ევროკავშირში 7200 დასახელების პროდუქციის შეტანის უფლება გვაქვს, თუმცა ეს საკმარისი არ არის. დღეს შეიძლება ამდენი სახეობის პროდუქციას არ ვაწარმოებდეთ, მაგრამ სამომავლოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნებისმიერი პროდუქცია ყველანაირი გადასახადების გარეშე ევროპის ბაზარზე მოხვდეს“, — თქვა კახა ბენდუქიძემ.

მისივე ინფორმაციით, თავისუფალი სავაჭრო ზონის ამოქმედების შემდეგ, ქართული ღვინო ევროპის ბაზარზე ზედმეტი გადასახადების გარეშე მოხვდება.

**თეა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## პროვოკაციის მცდელობა ზღვაზე

**რუსეთის მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შავ ზღვაში წვრთნების ჩატარების თაობაზე რუსეთის მხრიდან დაგეგმილი მორიგი პროვოკაციაა. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ.**

**„რუსეთიდან წვრთნების ჩატარების თაობაზე მოტივიზაცია მოგვივიდა, თუმცა ზღვის იმ აკვატორიაში, სადაც ისინი წვრთნებს გეგმავენ, საქართველოს ტერიტორიული წყლებია და ჩვენი ნებართვის გარეშე წვრთნების ჩატარების უფლება არ აქვთ“, — აცხადებს კუდავა.**

**კუდავამ კომენტარი გააკეთა აგრეთვე გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციაზე და განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოება თავად დარწმუნდა რომ კოდორის ხეობაში სამხედრო შენაერთები არ დგას.**

**კუდავას განმარტებით, ზემო აფხაზეთში მხოლოდ პოლიციური ძალებია შეყვანილი და ეს რუსეთმაც კარგად უნდა გააცნობიეროს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## „საბანკო“ შეშფოთება თვით რუსმა დაგმო

**რუსეთის საბანკო ელიტა დაძაბული ურთიერთობების გამო საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეას შეცდომად მიიჩნევს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეა რუსეთის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა გარეგინ ტოსუნიანმა „ემოციური ხასიათის“ გამოვლინებად შეაფასა. ასეთი განცხადება მან ერთ-ერთ რუსულ საინფორმაციო გამოცემასთან გააკეთა.**

**მისი თქმით, მთელი მსოფლიო ინტეგრაციის გზით მიდის და ეროვნული ნიშნით იმის განსაზღვრა, სად უნდა გაიგზავნოს ფულადი გზავნილები და სად არა, ეკონომიკური პროცესების მართვის არც ისე კარგი საშუალებაა.**

**ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობების გამო ფულადი გზავნილების აკრძალვის იდეით რუსეთის სახელმწიფო სათათბირო გამოდიოდა, თუმცა გადაწყვეტილება ვერ მიიღო, რადგან საქართველო და რუსეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები არიან და ერთნაირი წესდებით მოქმედებენ.**

## სოციალურ მუშაკთა ტრენინგი დასრულდა

**როგორც ინტერპრესნიუსს იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, პენიტენციალური სისტემის სოციალური სამსახურის 25 თანამშრომელს ტრენინგი სპეციალური პროგრამით ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ჩაუტარეს. სასწავლო ცენტრის დირექტორმა კობა ღლონტმა მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.**

**სოციალურ მუშაკთა გადამზადება პატიმართა სარეაბილიტაციო-სამკურნალო პროგრამა „ატლანტისის“ ფარგლებში, პოლონეთის ბატორის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა.**

**ინტერპრესნიუსი**

კონტაქტები

# მსოფლიოში უდიდესი სამუზეუმო გაერთიანება გვეხმარება

**პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მსოფლიოში უდიდესი სამუზეუმო გაერთიანების სმიკსონიანის ინსტიტუტის პოლიტიკისა და ანალიზის დირექტორს ქეროლ ნევესს, რესტავრაციისა და კონსერვაციის დირექტორს რობერტ კესტვერს და აშშ-ს სამუზეუმო გაერთიანების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.**

სმიკსონიანის ინსტიტუტი აერთიანებს 19 მუზეუმს, 22 ბიბლიოთეკას, რამდენიმე კვლევით ცენტრს, ეროვნულ ზოოპარკს და ორ ობსერვატორიას. შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ სმიკსონიანის ინტიტუტს აშშ-ს საელჩოს ხელშეწყობით თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან. შეხვედრისას ისაუბრეს 2007 წელს ქალაქ ვაშინგტონში გასამართ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატთა გამოფენაზე და მის მნიშვნელობაზეც ქართული კულტურის წარმოჩენის თვალსაზრისით. სმიკსონიანის ინსტიტუტის პოლიტიკისა და ანალიზის დირექტორმა ქეროლ ნევესმა აღნიშნა, რომ სმიკსონიანის ინსტიტუტის წარმომადგენლები მუშაობენ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რეკონსტრუქციის პროექტებზე. რაც ბიბლიოთეკაში საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციული მართვის დანერგვასა და ეთნიკურ აღჭურვას გულისხმობს. ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ სმიკსონიანის ინსტიტუტი თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთანაც ახლო მომავალში გააფორმებს. პარლამენტის თავმჯდომარემ სამუზეუმო გაერთიანებების წარმომადგენლებს წერილობითი მადლობა გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობისა და მათთვის გაწეული დახმარებისთვის.



**ჯი-ეიჩ-ენი**

SIC!

# ამერიკა სააკაშვილს კი არა — საქართველოს უჭერს მხარს!

**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გაიმართა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის დანიელ ფრიდისა და ოპოზიციური პარტიების ლიდერების შეხვედრა.**





როგორც დახურული შეხვედრის შემდეგ, „მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ აღნიშნა, შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან სახელმწიფო დეპარტამენტში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი მზადყოფნას გამოთქვამს, საქართველოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს ესაუბროს.

„შეხვედრაზე ითქვა, რომ ამერიკა არ არის სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი — ის ქართველი ხალხის მხარდამჭერია“, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე სასამართლოებში არსებული მდგომარეობა, რუსულ-ქართული ურთიერთობები, მედიის მხარდაჭერის აუცილებლობის და პოლიტპატიმრების საკითხი განიხილეს.

„ამერიკა სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, რათა მომავალში ჩატარდეს დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები და საქართველოში შეიქმნას დემოკრატიული ინსტიტუტები“, — დასძინა მან.

როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს შიდა პრობლემებზე, დემოკრატიაზე, რუსეთთან დაკავშირებულ პრობლემაზე და ოპოზიციის როლზე, ასევე, „ნატო-სკენ მიმავალი გზის იმ ბარიერებისგან გაწმენდაზე, რაც „ხელისუფლების უგუნურებამ შექმნა“.

“რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო ევროპა შეშფოთებულია, ამიტომ ამ საკითხზე ოპოზიცია და ხელისუფლება კოორდინირებული უნდა იყოს“, — აღნიშნა „რესპუბლიკელების“ ლიდერმა.

„საქართველოს გზის“ თავმჯდომარის სალომე ზურაბიშვილის ინფორმაციით, დანიელ ფრიდთან შეხვედრისას 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თაობაზეც ისაუბრეს.

მისივე თქმით, ამერიკის წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ეს იყო ყველაზე არადემოკრატიული არჩევნები საქართველოში, როგორც ზურაბიშვილი განმარტავს, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მიუღებელია, რომ ქვეყანაში არ იყოს ძლიერი ოპოზიცია.

**ინტერპრესნიუსი**

დისკუსია

# ომი ან მშვიდობა!

**საერთაშორისო პრესცენტრ „ახალ ამბებში“ ქართველ პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგთა შორის გუშინ გამართულ დისკუსიაზე მთავარი თემა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილი კრიზისი იყო. მათ ხელისუფლებას ინტენსიური დიალოგისკენ მოუწოდეს, რომელშიც, ამ ორ ქვეყანასთან ერთად, ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებიც იქნებიან ჩართულნი.**




საქართველო არჩევანის წინაშეა – ომი ან მშვიდობა. მშვიდობა, რომელიც ძალიან რთული შესანარჩუნებელია დღევანდელ სიტუაციაში, თუმცა ერთადერთი გამოსავალია ქვეყნის სასიკეთო შედეგისთვის, ამისათვის კი დაუყოვნებლივ დიალოგის დაწყებაა საჭირო, რისკენაც პირველი ნაბიჯი ხელისუფლებამ უნდა გადადგას, ითქვა დისკუსიაზე.

– საქართველოს ჩაგმას პროვოკაციაში რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, თუმცა, ამაზე თვითონ წამოეგო და ახლა მაქსიმალურად ცდილობს თავის დახსნას, მას დასავლეთის გააქტიურება იმ თვალსაზრისით კიდეც უხარია, რომ თავისივე ამუშავებული მანქანა რაღაცნაირად გააჩეროს, მსოფლიოსთვის რუსეთი ფაშისტურ სახელმწიფოდ ყალიბდება, რაც ყველასათვის შემაშფოთებელია. თუ ჩვენ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ, მომდევნო ეტაპი ომია, რაშიც საქართველო, ალბათ, წააგებს, მაგრამ გამართლება არც რუსეთს ექნება, რადგან ის მიიღებს საერთო კავკასიურ წინააღმდეგობას. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, ეს კი ხელს შეუწყობს სეპარატისტულ მოძრაობას. ამაში პირველი ჩერქეზები ჩაებმებიან, შემდეგ დაღესტანი და ასე შეიქმნება სეპარატისტული ჯაჭვი კავკასიაში, რასაც, შესაძლოა, რუსეთის საზღვრების რღვევა მოჰყვეს. ამიტომ, დიალოგი ორივე ქვეყნისთვის თანაბრად მომგებიანია, – აღნიშნა ექსპერტმა სამხრეთ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ.

– რუსეთის მოსახლეობაში საქართველოს წინააღმდეგ ძალიან დიდი ისტერიკაა ატეხილი. ისინი ჩვენს ქვეყანას უპირველეს მტრად ასახელებენ. ასე მიიჩნია სოციოლოგთა მიერ გამოკითხულთა 85 პროცენტმა.

მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამწვავებს სიტუაციას, ამ პრობლემის მოგვარებას და მეგობრული ურთიერთობის აღდგენას კი თაობები დასჭირდება, – განაცხადა პარლამენტის დეპუტატმა შოთა მალაშხიამ.

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრს კახა კუკავას მიაჩნია, რომ: „რუსეთთან მიმართებაში აუცილებელია, მრავალ საკითხზე კომპრომისი მოიძებნოს. უპირველესად, უნდა ითქვას, თუ რა არის კონფლიქტის მთავარი მიზეზი. ეს არ არის ტერიტორიული მთლიანობა, ეს არის საქართველოს სწრაფი, უკომპრომისო და აგრესიული ინტეგრაცი ნატოში.

ნატოს წარმომადგენლები ძალზე ხშირად აცხადებენ, რომ იგი არ აპირებს იმ საფრთხეების და გამოწვევების კომპენსირებას, რაც საქართველოს აქვს. ანუ ჩვენ მათგან არ უნდა ველოდოთ არც ტერიტორიული მთლიანობის მოგვარებას და არც ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტას. სერიოზულ მხარდაჭერას არც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უნდა ველოდეთ, ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია გაეროს ბოლო რეზოლუცია. ისინი აქტიური მხოლოდ სამხედრო კონფლიქტისას იქნებიან. საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობის დასამყარებლად ყველაფერს გააკეთებს, თუმცა საზღვრების საკითხში ის არ ჩაერევა“, – აღნიშნა კუკავამ.

დაიწყება თუ არა ინტენსიური დიალოგი რუსეთ-საქართველოს ხელისუფლებას შორის, ალბათ, მომავალში გაირკვევა, თუმცა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამისთვის მზადყოფნა უკვე გამოთქვა, რუსეთი კი, ჯერჯერობით თავს იკავებს და მხოლოდ იქაურ ქართველებზე იყრის ჯავრს.

**ლელა მანაველიშვილი**

ინფორმაცია

## ფრაქცია მრეწველები მთავრობას გაებუტა

**მთავრობასთან შეხვედრაზე უარს ამბობენ ფრაქცია მრეწველები. შეხვედრისას ოპოზიციის ამ ფრთასაც ბიუჯეტის საკითხები უნდა განეხილა. თუმცა, ახლების მსგავსად, მრეწველებიც აცხადებენ, რომ მთავრობასთან შეხვედრას აზრი არ აქვს. მათი არგუმენტებიც ისეთივეა, როგორიც ახალი მემარჯვენეების.**

**„გუშინ ჩვენ ვნახეთ დემოკრატიული ფრონტის შეხვედრა როგორ წარიმართა. ყველა ისეთ შეკითხვაზე, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე ერთნაირი ღიმილით პასუხობდა. ხელისუფლებისგან ჩვენ მხოლოდ ის გვესმის, რომ განსაზღვრულია ჭერი და ნიუანსების შესახებ რაიმეს ცოდნა მათ არ ევალებათ. არადა გასარკვევი სწორედ ეს ნიუანსებია“, – აცხადებს ფრაქცია მრეწველების წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი.**

**მისი თქმით, ალმაშფოთებელი იყო ის ფაქტიც, როდესაც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჩვეული ღიმილით ოპოზიციას ურჩევდა, რომ პროფესორებისთვის მიემართათ და ბიუჯეტის შესახებ რამე ესწავლათ. „ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია და კარგად მეტყველებს იმაზე, თუ ოპოზიციის აზრს რამდენად ითვალისწინებს“, – აცხადებს ცაგარეიშვილი.**

## კოკა გუნცაძე დამოუკიდებელია



**პარლამენტარი კოკა გუნცაძე აცხადებს, რომ ახლების ფრაქციიდან წასვლის შემთხვევაში იგი დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსს შეინარჩუნებს.**

**პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადება კოკა გუნცაძემ გუშინ გააკეთა. თუმცა, გუშინვე განაცხადა, რომ ფრაქციის დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას ორი კვირის განმავლობაში მიიღებდა.**

**ამჟერად კოკა გუნცაძე აცხადებს, რომ იგი ფრაქციას ტოვებს.**

**მიუხედავად იმისა, რომ მას ფრაქციაში გაწევრიანება მრეწველებმაც შესთავაზეს და დემოკრატიულმა ფრონტმაც, გუნცაძე მაინც დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსის შენარჩუნებას არჩევს.**

**კულუარული ინფორმაციით, გუნცაძე რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ახალი ფრაქციის და ახალი პარტიის შექმნას აპირებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## შვეიცარიაში დაკავებული საქართველოს მოქალაქე ისრაელშია ექსტრადირებული

**საქართველოს მოქალაქემ, რომელიც შვეიცარიაში ბინის გაძარცვის ბრალდებით დააკავეს, ადგილობრივ პოლიციელებს ისრაელის მოქალაქის მოპარული პასპორტი წარუდგინა, იგი ისრაელში იქნა ექსტრადირებული.**



**ისრაელის აეროპორტის ბენგურიონის სასაზღვრო კონტროლის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, რომ ისრაელის პასპორტის მიუხედავად, მოქალაქე ისრაელში ნამყოფი არ იყო.**

**მას შემდეგ, რაც მან ტრადიციულ ებრაულ მისალმებაზე პასუხი ვერ გასცა, იგი დააკავეს.**

**ჩატარებული დაკვირვების შემდეგ გაირკვა, რომ მგზავრის ხელთ არსებული პასპორტი ნამდვილი იყო, მაგრამ მის მფლობელს ისრაელის საზღვრები არასოდეს დაუტოვებია, არც პასპორტის დაკარგვის შესახებ განცხადება გაუკეთებია.**

**შვეიცარიის ხელმძღვანელობა, რომელმაც ქართველი ქურდი ისრაელში გაგზავნა, ამტკიცებს, რომ ქვეყანაში მოპარული ებრაული პასპორტებით დამნაშავეთა ჯგუფი მოქმედებს.**

## თბილისი საერთაშორისო სემინარს მასპინძლობს

**თბილისში გუშინ გაიხსნა და 20 ოქტომბრამდე გაგრძელდება საერთაშორისო სემინარი „მდგრადი ურბანული ტრანსპორტი და რაციონალური ქალაქგეგმარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის“.**

**სემინარი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით იმართება.**

**სემინარი ხორციელდება „ტრანსპორტი, ჯანმრთელობა და გარემო პან-ევროპული პროგრამის ფარგლებში“ და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალაქში მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოზე ავტოტრანსპორტის ფუნქციონირებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შეფასება და მდგომარეობის გამოსწორების ეფექტური გზების მოძიება.**

**სემინარის მუშაობაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად მონაწილეობენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ტრანსპორტის რეგულირების ეროვნული კომისიის და ქ. თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების თანამშრომლები.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ჩოხოსან რაინდთა დასი

## „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცე, ღმერთო!“

**21-22 ოქტომბერს „სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი“ და ორგანიზაცია „სამეგრელო-სვანეთის კეთილი ნების კოშკი“ ზუგდიდში საქველმოქმედო ღონისძიებას გამართავენ. ღონისძიება სახელწოდებით „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცე, ღმერთო“ ზუგდიდის კინოთეატრში, დადიანების სახლ-მუზეუმში და „სამეგრელო-სვანეთის კეთილი ნების კოშკში“ განხორციელდება.**

როგორც ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ განაცხადა, საზეიმო ღონისძიება ქართული ფილმების რეტროსპექტივის გახსნით დაიწყება, რის შემდეგაც, ყველა მონაწილე დადიანების სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად გაემგზავრება. „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცე, ღმერთო“ გამოჩენილი ქართველი ადამიანების სახელობის ვარსკვლავების გახსნას ისახავს მიზნად. საქართველოს ეროვნულ გმირებთან მერაბ კოსტავასთან, ჟიული შარტავასა და კორნელი ჩალაძესთან ერთად თანამედროვე მომღერლების, სპორტსმენების, ჟურნალისტების, მოცეკვავეების, ბიზნესმენების, მსახიობების და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების ვარსკვლავები გაიხსნება“ – განუცხადა ჯი-ეიჩ-ენს გოგი დოლიძემ.

„სამეგრელო-სვანეთის კეთილი ნების კოშკში“ ნატო გელაშვილის, ლელა წურწუმიას, გიო და ზუკა ხუციშვილების, „ქართული ხმების“, სანდრა რულოვსის, მედეა ჩახავას, ოთარ კობერიძის, რეზო ჩხეიძის, კახი კავსაძის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, გოგი დოლიძის, გივი ბერიკაშვილის, კოტე მახარაძის, მიხეილ და ნესტორ ხერგიანების, ზვიად ზვიადაურის, ილიკო სუხიშვილის, ჯემალ ჭკუასელის, მაკა მახარაძის, ნინო ანანიაშვილის, ომარ მხეიძის, ავთო ცქვიტინიძის, ნატო დუმბაძის და სხვათა ვარსკვლავები გაიხსნება.

როგორც გოგი დოლიძე აცხადებს, ღონისძიების ფარგლებში ცნობილი ბიზნესმენების და ქველმოქმედების ბადრი პატარკაციშვილის, პაატა ჩახნაშვილის, ბიძინა ივანიშვილის, მაია რჩეულიშვილის, მამუკა ხაზარაძის, თემურ ჭყონიას, გოგი თოფაძის და სხვა მათი კოლეგების სახელობის ვარსკვლავებიც გაიხსნება.

**ჯი-ეიჩ-ენი**



◉ ინფორმაცია

## შეიქმნა „ერთიანი სამთავრობო ქსელი“

**საქართველოს მთავრობის განკარგულებით „ერთიანი სამთავრობო ქსელი“ იქმნება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებში დაცულ ინფორმაციებს ერთ ბაზაში გააერთიანებს. მომხმარებელს საშუალება ექნება ნებისმიერი ინფორმაცია სახლიდან გაუსვლელად ერთიან სამთავრობო ქსელში მოიძიოს.**

**როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განუცხადა, შესაბამისი კანონმდებლობა უკვე მზადაა და მას პარლამენტი 2006 წლის ბოლომდე დაამტკიცებს. ხოლო თავად პროექტი სრული დატვირთვით 2007 წლის ბოლომდე ამოქმედდება.**

## „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო“ დაიწუნეს

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინიციატივას „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს“ შექმნის შესახებ მთავრობამ უარი უთხრა.**

**როგორც საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი განმარტავს, მთავრობის უარის მიზეზი გახდა შემდეგი—ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ ბანკებს შორის კონკურენცია დაცულია და ასეთი ბიუროს შექმნა მიზანშეწონილი არ არის.**

**„საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შექმნის შემდეგ, ნებისმიერი ბანკის კრედიტორი ვალდებული იყო კრედიტის შესახებ აღებული ინფორმაცია ამ ბიუროსთვის ეცნობებინა. იმავეს გააკეთებდა თავად ბანკებიც და ამის შემდეგ გაირკვეოდა რამდენად საიმედოა ესა თუ ის კრედიტორი“, — აცხადებს გია ხუროშვილი.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ გლობუსი

# შორს მიმავალი

**რუსეთ-საქართველოს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა გრძელდება. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა რუს კოლეგასთან შეხვედრის თაობაზე უპასუხოდ რჩება. შეხვედრის უაზრობაზე (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე) რუსი პოლიტიკოსები და ექსპერტები ლაპარაკობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ შეხვედრა — შეხვედრისათვის არაფერს მოიტანს, ისე, როგორც ზაფხულის უნაყოფო შეხვედრა.**

სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა ყოველთვის დატვირთულია მნიშვნელოვანი ნიუანსებით. სამუშაო ან ოფიციალური შეხვედრები მრავალი დღის განმავლობაში მზადდება, რომლის დროს საგარეო ან სხვა უწყებათა დონეზე ხდება მოსალაპარაკებელ საკითხთა განხილვა და შეთანხმება, შემდეგ ქვეყანათა მეთაურებისათვის დაწურული მასალების და წინადადებების მიწოდება.

საერთაშორისო საკითხებში ჯერაც ნაკლები გათვითცნობიერების ბრალია იმის განცხადება, რომ ნაუცბადევი, მოუმზადებელი შეხვედრა რაიმე შედეგს მოიტანს. მით უმეტეს დღეს, როდესაც ქართულ-რუსული ურთიერთობები სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს.

მსოფლიო მაგალითები მოთმინებას და დროის გასვლას გვკარნახობს, მაგრამ, ამასთანავე — ემოციების დაცხრობასაც. სამწუხაროდ, ურთიერთშეურაცხმყოფელი განცხადებები დღესაც კეთდება, რაც მაღალ დონეზე დიალოგს შეუძლებელს ხდის.

ზედმეტად თეატრალიზებულია მოწოდება ორი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრის თაობაზეც. ასეთი შეხვედრა შედეგს არ გამოიღებს, ვინაიდან თავს ვერ აარიდებს პოლიტიკურ ელიტათა გავლენას. დროს, მხოლოდ დროს შეუძლია გახდეს მკურნალი.

განაწყენებული რუსეთი, რომელიც სამი წლის წინათ სამხედრო ბაზების გაყვანისათვის ლამის ნახევარ საუკუნეს ითხოვდა, თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის თქმით, მზად არის ბაზების ვადამდე ადრე გაყვანისათვის. უფრო მეტიც, რუსეთი მზად არის ა. წ. ბოლომდე დახუროს თბილისში არსებული სამხედრო შტაბი.

არანაკლებ საინტერესო განცხადება გააკეთა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე. ქართული საზოგადოება ჟირინოვსკის რატომღაც ტაკიმასხარად აღიქვამს. მიუხედავად მკვახე განცხადებებისა, ჟირინოვსკის ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ ტაკიმასხარა. ჟირინოვსკი სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერია და ვეჭვობ, მის სიტყვებში ყველაფერი ტყუილი იყოს.

ჟირინოვსკის განცხადებაში თითქოს განაწყენებული ადამიანის პოზიცია შეინიშნებოდა, მაგრამ ყოველივე ეს ხომ არ არის დიდი პოლიტიკური თამაში? ბაზებსაც გავიყვანთ, სამშვიდობოებსაც, თქვენ თვითონ მიხედეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსო, ჩვენ თქვენთან აღარ გვსურს ურთიერთობებიო. სხვათა შორის, საქართველოს დატოვების საკითხში ჟირინოვსკი მარტო არ არის. რუს პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა გარკვეული ნაწილი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთი დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც თხუთმეტწლიანი გამუდმებული ლანძღვის მიუხედავად, ცდილობს საქართველოსთან კავშირების შენარჩუნებას.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალი მოხელის, მოდესტ კოლეროვის განცხადება, არ გინდათ? სადაც გინდათ, იქ წადითო, ეხმიანება ჟირინოვსკის ნათქვამს. საინტერესოა, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პროფესორის სერგეი დუნევის მოსაზრებაც: „ფაქტობრივად საქართველო რუსეთისათვის შეიძლება დაკარგულ ქვეყნად ჩაითვალოს. 80-იანი წლების ბოლოდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართველთა შეგნებასა და პოლიტიკურ ქცევაში. მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფი და სისტემატური, დაძაბული შრომის ნაკლები სურვილის მქონე ქართველები, მრავალი საუკუნის განმავლობაში ესწრაფოდნენ სპონსორის მოძიებას. რუსეთი აღარ არის მზად შეასრულოს სპონსორის მისია, ისე, როგორც რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი. ამან სრული იმედგაცრუება გამოიწვია რუსეთის მიმართ. საქართველო ხაზს უსვამს ყოველივე პოზიტიურს რუსეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლობაში. ის ყველგან ეძებს რუსეთის „უხილავ, მტრულ ხელს“. საქართველოს ელიტა და საზოგადოება ორიენტირებულია მხოლოდ დასავლეთზე, აშშ-სა და ევროპაზე“.




ჟირინოვსკის მარტო გაბუტვით არ წამოსცდენია საქართველოდან წასვლა. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ასეთ ვარიანტსაც იხილავენ, თუმცა სხვანაირი ფინალით, ვინაიდან რუსეთი ასე მარტივად ვერ შეელევა კავკასიას. საქართველოდან გასვლა კი ამიერკავკასიაში ყოფნის დასასრულის დასაწყისი იქნება. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ რუსეთის იმპერატორთა სანუკვარ ოცნებას — სამხრეთში ფეხის მოკიდების თაობაზე, ასე მარტივად შეაქციოს კრემლმა ზურგი.

რუსეთიდან ქართველთა დეპორტაციას ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი საქართველოში სოციალური ბუნტის აგორების სურვილით ხსნის. ლუკმაპურს მოკლებული და სამშობლოში იძულებით დაბრუნებული ქართველები ომს გამოუცხადებენ

◉ აქცენტი

# ფული, უზნეო პოლიტიკასავით, გაფოლდა – გაუფასურდა!

**ხმა დაირხა: საქართველოზე გაბრაზებულ-გაგიჟებული რუსეთი ხორბალსაც აღარ მოგვყიდის და ქვეყანას მალე პური — უპირველესი საკვები პროდუქტი, ყოველთა ღირებულებათა საწყაო, — აღარ ექნებაო.**

ისიც დავაზუსტეთ: ყაზახეთი იმიტომ ვერ გვაწვდის ხორბალს, რუსეთი ვაგონებს აღარ უგზავნი-



სო! — რაღა თქმა უნდა, საქართველოს მოხრჩობის მიზნით რუსული იმპერია უზარმაზარ ყაზახეთსაც აბუჩად იგდებს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კი საქართველოს მეგობარ ევროპის უდიდეს ქვეყანას გერმანიასაც ატყუებს — ჩვენ საქართველოს ეკონომიკურ განადგურებას არ ვაპირებთო! (იხ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 ოქტომბრის ნომერი).

გულცივი საბჭოთა გენერლებით, შერეკილი პოლიტიკოსებით და ატომური რაკეტებით გაძეძგილი რუსეთი, როგორც თვითონ ჰგონია, კარგა ხანია მთელ მსოფლიოს აბითურებს — საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კი ვცნობ, მაგრამ აფხაზები და ოსები ორგანულად ვერ იტანენ ქართველებს, თითქმის ყველანი რუსეთის მოქალაქეები გახდნენ და... აბა, როგორ იქნება საკუთარი მოქალაქეები რომ არ დავიცვათო!

ეს დაცვა იმას გულისხმობს, რომ „კავკასიაში პატარა იმპერიად აღიარებული საქართველო უნდა დაქუცმაცდეს“ — დასძენს საბჭოთა კავშირის დაშლით გულშეწუხებული რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.

ყოველივე ამის შემდეგ გვიკვირს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში რატომ ჩაიწერა, ასეთი პუნქტი:

**„გაეროს უშიშროების საბჭო აღიარებს დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა და გაეროს მისიის მნიშვნელოვან როლს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, ხაზს უსვამს გაეროს მისიისა და დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა ძალების მჭიდროდ და ეფექტიანად თანამშრომლობის მნიშვნელობას, რადგანაც ისინი ამჟამად მასტაბილიზებელ როლს ასრულებენ კონფლიქტის ზონაში; ყოველმხრივ ცდილობს გააფართოოს თანამშრომლობა მათთან და ადასტურებს, რომ კონფლიქტის თანდათანობით და გონივრული მოგვარება უსაფრთხოების შესაბამის გარანტიას მოითხოვს“.**

თითოეულმა გონიერმა პოლიტიკოსმა, მით უფრო გაეროში, მშვენივრად იცის, რომ რუსეთი არასდროს ყოფილა მშვიდობისმყოფელი, მასტაბილიზებელი და კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გარანტი. რუსეთი კონფლიქტის მეორე, თანაც მთავარი მხარეა. ის პირწავარდნილი აგრესორია და აგერ უკვე 15 წელიწადია დაუშვებელი, ყოვლად მიუღებელი მეთოდებით ცდილობს აფხაზებისა და ოსების გადაბირებას, სეპარატისტული რეჟიმების წაქეზებას, საქართველოს ტერიტორიის დაქიაქებას.

ამიტომაც, საკუთარი ბინძური პოლიტიკა რომ დამალოს, ვითომც საქართველოს პრეზიდენტის და თავდაცვის მინისტრის სამხედრო რიტორიკამ და იდეოლოგიურმა „პროვოკაციებმა“ ზემო კოდორის ხეობაში, გაალიზიანა უზარმაზარი იმპერია და სწორედ ამიტომ უკადრებელი იკადრა: ჩვენი ქვეყნების არსებობის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და ქართველთა დევნა-შევიწროების ფაშისტური ომი გამოგვიცხადა.

სააკაშვილისა და ოქრუაშვილის რიტორიკა და „მუქარა“ სასაცილოდაც არ ეყოფოდა პუტინს, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მეგობარი ქვეყნების აშკარა მხარდაჭერა საქართველოსადმი. ვინც კარგად ჩაუკვირდება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, იქ საქართველოს უპირობო ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი სტრიქონები კიდევ ერთხელ ხაზგასმითაა ჩაწერილი და თუ ჭკვიანად ვიქნებით, რუსებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ, საქართველოს მას არავინ დაუთმობს.

მაგრამ აი, ჩვენ, ქართველები რომ არ ვმოქმედებთ ჭკვიანურად და კრიჭაში ვუდგავართ ერთმანეთს?

ვთქვათ, რუსეთმა ეკონომიკური ბლოკადა (უკვე მერამდენედ!) მოგვიწყო: პური, წიწიბურა და სხვა პროდუქტი არ მოგვყიდა... მერე, ჩვენ, მეორე დღესვე, უპირველესი მოხმარების პროდუქტზე ფასი ასე უსინდისოდ უნდა გავზარდოთ?

15 ოქტომბრიდან 50-თეთრიან პურს ყველგან 10 თეთრი დაუმატეს, წიწიბურა კი 200-300 პროცენტით გააძვირეს!

არადა, ქვეყანას 2-3 თვის ხორბლის მარაგი აქვს. ამ დროის განმავლობაში ამერიკიდან, კანადიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან შევისყიდით ნედლეულს. ოცდამეერთე საუკუნეა, რუსეთის გარდა დღეს თითქმის არსად არ „ბნელა“, მთავარია ფული გვქონდეს — ხორბალს ყველგან ვიშოვით.

სამწუხაროდ, რუსეთის დამსჯელი ოპერაციები ჯერ კიდევ საბჭოური ინერციით აისახება საქართველოს ბაზრებზე და... ვითომ, სხვა გზა არა გვაქვს, გარდა „დეფიციტური“ რუსული პროდუქტების გაძვირებისა. ასე განსაჯეთ, ფინჯანი ჩაის და 50-თეთრიანი ხაჭაპურის ფასიც გაორმაგდა!

თქვე დალოცვილებო, კომპანია „სანტე“ რომ თითქმის ყოველდღიურად 10-10 თეთრს უმატებს 200-გრამიან ხაჭოს ღირებულებას, ისიც რუსული ეკონომიკური ბლოკადის ბრალია? ან შეიძლება იმერულ ყველს და მეგრულ-სვანურ სულუგუნს სხვადასხვა მაღაზიაში ერთმანეთისგან განსხვავებული ასე მაღალი ფასები ჰქონდეს?

მართალია, საბაზრო ეკონომიკაა და ბაზარი „გიჟივით“ თავისუფალია, მაგრამ შინაგანი ზნეობა და მორალი ხომ უნდა გვაწუხებდეს? გაჭირვებული ქვეყნის პოლიტიკური ბედი თუ ფეხებზე გკიდია, თანამოძმეები, თანამოქალაქეები, მაინც შევიცოდოთ.

პროდუქტის უმოწყალოდ გაძვირებისგან, ფულის, ეროვნული ვალუტის გაუფასურებისგან იწყება ათასი მამაძაღლობა, მათ შორის ბუნტი და შიდა დაპირისპირებაც. მშიერ კაცს, მშიერი შვილების მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს ფეხებზე ჰკიდიათ ლამაზი შადრევნები და ფერადი ატრაქციონები, მოსახლეობის არაფრისმქონე, გაღატაკებულ უმრავლესობას კი გულისგულამდე აღიზიანებს „აღმავალ ეკონომიკაზე“ გაუთავებელი ცრუ ლაყბობა.

**ეს იცის ცბიერმა რუსეთმა, ყველაზე მტკივნეულ ადგილზე ფეხს გვაჭერს და ჩვენს გასრესას ცდილობს.**

**იქნებ, გონს მოვეგოთ. ერთმანეთის გატანის ნიჭსაც მოვუხმოთ და ვირწმუნოთ, რომ ამაზე ბევრად უარესი და აუტანელი ჟამისთვისაც გაგვიძლია.**

**მთავარია, არ შეგვეშინდეს!**

**სპარტაკ ქობულია**

გლობუსი

# გეგმები




საკუთარ ხელისუფლებას. ეს მოსაზრება რუსებმა გაავრცელეს. ჩვენ ქართველი ხალხის წინააღმდეგი კი არა, ხელისუფლების წინააღმდეგი ვართო. ქართველმა ხალხმა შესაბამისი დასკვნები თვით უნდა გამოიტანოსო.

ნაკლებად დასაჯერებელია, რომ რუსეთი აბსტრაქტულ და ნაკლებად განხორციელებად უკმაყოფილოთა ბუნტზე აგებდეს პოლიტიკას.

საყურადღებოა სერგეი ივანოვის განცხადებაც, რომელმაც მოიწონა საქართველოსთან კავშირების შეწყვეტა, თუმცა გამოჰყო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მინისტრმა თქვა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა, რაც ავალდებულებს მას, დაიცვას ისინი იმ შემთხვევაში, თუ საქართველო შეეცდება სამხედრო გზით გადაწყვიტოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი.

აღნიშნული ფაქტები ძალაუნებურად ბადებს მოსაზრებას – რუსეთი გადის საქართველოდან, გაჰყავს სამშვიდობოებიც და ერთმანეთის პირისპირ სტოვებს მხარეებს. რუსეთს იმედი აქვს, რომ საქართველო ვერ გაუძლებს ცდუნებას და შეიჭრება სეპარატისტულ ტერიტორიებზე. საომარი მოქმედების დაწყებასთან ერთად, დაიწყება ჩრდილო კავკასიელთა შეიარაღებული ფორმირებების მასობრივი ჩამოსვლა აფხაზთა და ოსთა დასახმარებლად. მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარება კავკასიის ომის მომასწავებელი იქნება. დასაწყისში რუსეთი მაყურებლის როლში მოგვევლინება, საქართველოს ძალის მიერ ნაბიჯს, საერთაშორისო სარბიელზე, ავტორიტეტის მკვეთრი შელახვა მოჰყვება. რუსეთთან დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, ამერიკა და ნატო არ ჩაერთვებიან კონფლიქტში. სიტყვიერი მხარდაჭერით კი ფონს გასვლა შეუძლებელი იქნება, მკითხველისთვის ძნელი არ უნდა იყოს შექმნილი ვითარების დასასრულის გამოთვლა.

რუსეთის საქართველოსადმი განხორციელებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მრავალ ქვეყანაში რუსეთის საწინააღმდეგო კრიტიკულ განცხადებებს მისცა გასაქანი. აშშ-ს ადმინისტრაციამ ურჩია რუსეთს შეწყვიტოს ანტიქართული ქმედება, მაგრამ მოსკოვს ნაკლებად აღელვებს დასავლეთის განწყობა. უფრო მეტიც, ოფიციალურმა მოსკოვმა მოუწოდა ვაშინგტონს, შეეშვას მედიატორობას, ვინაიდან დღემდე ამას შედეგი არ მოუტანია.

ყურადღების ცენტრში მოექცა სააკაშვილის, ოქრუაშვილის და მერაბიშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების საკითხიც. მსოფლიო პოლიტიკისთვის მსგავსი რამ უცხო არ არის. ამერიკა ეკონომიკურ სანქციებთან ერთად ხშირად იყენებს მიუღებელი რეჟიმების ლიდერთა მიმართ პერსონა ნონ გრატად გამოცხადების ბერკეტს. არასასურველ პირთა სიაში ბელორუსიის პრეზიდენტი ლუკაშენკო, ირანის პრეზიდენტი და სხვები არიან. პერსონა ნონ გრატას საკითხი სხვა კუთხით არის საყურადღებო. თუ დუმა გადადგამს ასეთ ნაბიჯს, გამოდის, რომ მოსკოვს არ სურს დიალოგი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან.

ორი ქვეყნის მწვავე ურთიერთობის საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგნადაც იქცა. უშიშროების საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამასხარაო არ უნდა იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გასულ პარასკევს რადიო „იმედის“ ეთერში გამოსულმა ამერიკის ფინანსებით გაჯერებული ერთ-ერთი ცენტრის თანამშრომელმა, გვარს არ დავასახელებ, საზოგადოებას აუწყა, გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციები არაფრის მაქნისია, წერონ და იკითხონო. საინტერესოა, რას იტყოდა პატივცემული ექსპერტი, უშიშროების საბჭოს რუსეთის ქმედების დამგმობი დოკუმენტი რომ მიეღო? მაშინაც არაფრისმაქნისად შეაფასებდა გაეროს გადაწყვეტილებას? თუ საქართველოსთვის გაერო არაფრის მაქნისია, რატომ იყენებს მის მაღალ ტრიბუნას? საზოგადოებისთვის დემაგოგიური ინფორმაციის მიწოდება დიდი ვერაფერი ვაჟკაცობაა.

გაეროს გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ გასათვალისწინებელი და შესასრულებელი. მათი გვერდის ავლა ცუდად აქვს დაცდილი ამ ორგანიზაციის ზოგიერთ წევრ ქვეყანას. დიდწონიანი სახელმწიფოებიც ანგარიშს უწევენ გაეროს და მის უშიშროების საბჭოს. ნაკლებად დარწმუნებული ვარ, რომ გაეროში არცთუ რაიმე გავლენის მქონე საქართველოს, რეზოლუციის შეუსრულებლობისთვის ვილაცამ თავზე ხელი გადაუსვას.

დავუბრუნდეთ რუსული მხარის განცხადებებს საქართველოს დატოვების თაობაზე. ასეთი სურვილის ფონზე გაუმართლებელია გიორგაძის და მისი პარტიის მხარდაჭერა, საქართველოში მყოფი სპეცსამსახურების წარმომადგენლებისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო იმის დადგენა, რომ გიორგაძის რეიტინგი საქართველოში უკიდურესად დაბალია. ანალოგიურ მდგომარეობაშია პარტია „სამართლიანობაც“, რომლის ლიდერთა ავტორიტეტი ერთობ საეჭვო განწყობას უქმნის საზოგადოებრიობას.

გიორგაძისა და მისი პარტიის ისტორია ხელისუფლების ყურადღების გადასატან ამბავს წააგავს, რუსი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების სისტემატური განცხადებები, ხელისუფლების დამხობის და გიორგაძის ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ კი, ამ ისტორიის შემადგენელ ნაწილს. სახელმწიფო გადატრიალების გეგმებზე ტელევიზიით არ საუბრობენ. მრავალ გეგმას შორის, რომელსაც საქართველოს მიმართ იხილავენ მოსკოვში, საქართველოს დატოვების გეგმაცაა. რაც თავისთავად გულისხმობს დატოვებას დაბრუნების მიზნით, მაგრამ უკეთეს პირობებში.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

არჩევნების შემდეგ

# „ახალ პოლიტიკურ რეალობას ახლებური მიდგომა სჭირდება“,

## – აცხადებენ ახალი მემარჯვენეები

**კულუარული ხმებით, მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი აქტივისტი, დეპუტატი კოკა გუნცაძე პარლამენტში „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე ზვიად ძიძიგურთან კონსულტაციებს მართავს, რაც, სავარაუდოდ, „დემოკრატიულ ფრონტში“ გუნცაძის გაწევრიანებით დამთავრდება. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ კოკა გუნცაძეს შესაძლოა გულმა „მრეწველებისკენ“ გაუწიოს.**

ასეა თუ ისე, გუშინწინ „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტსაბჭოს შეკრებაზე, სადაც პარტიის ლიდერებმა ადგილობრივი არჩევნების შედეგი შეაჯამეს, კოკა გუნცაძე არ გამოჩენილა. მისთვის თვალი არც ამას წინათ, მამარჯვენეების ბრიფინგზე მოუკრავთ. მოგვიანებით გაირკვა, რომ გუნცაძემ პარტია დატოვა. მოგეხსენებათ, უთანხმოების მიზეზი „ახალი მემარჯვენეების“ მიერ არჩევნების ბოიკოტირება გახდა.

„ახალი მემარჯვენეები“ ახლაც დარწმუნებულნი არიან, რომ ბოიკოტის შესახებ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. „ამით ჩვენ აბსოლუტურად შევინარჩუნეთ ამომრჩევლის ნდობა. პარტია მზად არის მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ყველაზე კარგი შედეგი აჩვენოს და გამარჯვებას მიაღწიოს“, – განაცხადა დავით გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეები“ მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელსაც ახლებური მიდგომა სჭირდება. ისინი ხელისუფლებას ოპოზიციასთან დიალოგის დაწყებას სთავაზობენ. მოგეხსენებათ, ახლებს აქვთ თავიანთი წინადადებები, რაც რუსი სამშვიდობოებისთვის ცალმხრივად მანდატის შეწყვეტასა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლას გულისხმობს. ამასთან, ითხოვენ კითხვაზე პასუხს: „რას ემსახურებოდა ბოლო პერიოდში რუსების წინააღმდეგ გადადგმული უმწვავესი ნაბიჯები, თუ საქართველო კვლავ რჩებოდა დსთ-ს წევრად, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ისევ ყველაფერს კანონიერად განაგებენ რუსი სამხედროები?“

კითხვები ადგილობრივ არჩევნებში დამარცხებულ ლეიბორისტებსაც აქვთ. მათი სამიზნე კვლავ „სემეკია“. ლეიბორისტების განცხადებით, სემეკი ახალ სქემას ამზადებს, რომლის მიხედვითაც დენის ფასი – 28, გაზის კი 50 თეთრი გახდება. შრომის პარტიის ლიდერები ვარაუდობენ, რომ ზამთარში მოსახლეობის 80 პროცენტი უკიდურესად მძიმე პირობებში აღმოჩნდება, რადგან, მათი თქმით, ენერგომატარებლების გაძვირება საკვებზე, პირველადი მოხმარების საგნებსა და ტრანსპორტზე ფასების მატებას გამოიწვევს.

ბოლო დღეებში ყველა კობა დავითაშვილის შესახებ ლაპარაკობს, რომელმაც ერთ-ერთი ბაზრის დირექტორს ალადინ მირზოევს სიაში ჩასმის სანაცვლოდ 20 ათასი დოლარი გამოართვა.

ლაპარაკი – ლაპარაკად, მაგრამ მას საქმე საბოდიშოდაც გაუხდა. ბოდიშის მოხდას მისგან საერთაშორისო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ მოითხოვდა. იგულისხმება რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ოპერატიული ვიდეომასალა, სადაც დავითაშვილმა სომხები უდიერად მოიხსენია.

კობა დავითაშვილი ფიქრობს, რომ მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ მის წინააღმდეგ ხელისუფლებამ შეაგულიანა. არადა, თუ დავითაშვილი ბოდიშს არ მოიხდიდა, აღნიშნული ორგანიზაცია აპირებდა ბოიკოტი გამოეცხადებინა ყველა იმ პოლიტიკური მოძრაობისა თუ პარტიისათვის, რომელთანაც კობა დავითაშვილი იქნება ასოცირებული. დავითაშვილს ბოდიში არ მოუხდია, მაგრამ მისმა ახსნა-განმარტებამ მომჩივანი მხარე დააკმაყოფილა.

**მზია გელენავა**



ინფორმაცია

### აფხაზი პარლამენტარები რუსეთს მფარველობას სთხოვენ

**აფხაზი პარლამენტარები რუსეთს მფარველობისთვის მიმართავენ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვენ.**

**დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთს საქართველოსგან დიდი საფრთხე ემუქრება და მისი გადარჩენა მხოლოდ რუსეთთან სამხედრო პოლიტიკური ალიანსის შექმნაშია.**

**შეგახსენებთ, რომ ანალოგიური თხოვნით, რუსეთს ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს აფხაზ სეპარატისტთა არასამთავრობო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა რამდენიმე დღის წინ უკვე მიმართეს.**

### მოსკოვმა ოს სეპარატისტებს ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა

**მოსკოვმა ოს სეპარატისტებს 20 მილიონი რუსული რუბლის ღირებულების 30 ვაგონი ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა.**

**მოსკოვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში 30 ვაგონი ჰუმანიტარული ტვირთი გამოაგზავნა. მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ინიციატივით გამოგზავნილი ტვირთი სხვადასხვა ტექნიკისგან, სამედიცინო აპარატებისგან, სახელმძღვანელოებისგან შედგება და მისი საერთო ღირებულება რუსული მხარის განცხადებით 20 მილიონი რუსული რუბლია.**

**ოსი სეპარატისტებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთი როკის გვირაბის გავლით სეპარატისტულ რესპუბლიკაში ჩავა.**

### „რუსეთის ფოსტას“ სასამართლოში უჩივიან

**საქართველოს მიმართულებით საფოსტო გზავნილების შეწყვეტის გამო უფლებათა დაცვის ცენტრი „მემორიალი“ „რუსეთის ფოსტას“ საქალაქო სასამართლოში უჩივის.**

**განაცხადში ნათქვამია, რომ საერთაშორისო საფოსტო კავშირის აქტით სახელმწიფო ოპერატორს უფლება არა აქვს კავშირის წესდებას მიერთებულ რომელიმე ქვეყანას მომსახურებაზე უარი განუცხადოს.**

**„მემორიალის“ წარმომადგენლის იგორ საჟინის განცხადებით, საქართველოს მიმართულებით საფოსტო გზავნილების აკრძალვა რუსეთის მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს ულახავს, რომლის თანახმადაც მათ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლება აქვთ.**

**საქართველოს მიმართულებით საფოსტო კავშირის აკრძალვის ბრძანება რუსეთის მაღალჩინოსნებმა 2 ოქტომბერს გასცეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

SIC!

# პუტინი საქართველოს სიშლეგეს არ ელოდა

## ვის დააყრევინებს თავებს რუსეთის პრეზიდენტი?

**რუსეთის ფედერაციის თავკაცს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაპირისპირება შელახული იმიჯის აღდგენისთვის სჭირდება. სურს საკუთარ მოსახლეობას დაანახოს, რომ რუსეთთან ისე ლაპარაკი, როგორც საქართველო საუბრობს, არ შეიძლება. ამ თვალსაზრისით განხორციელებული ანტიქართული პროპაგანდა რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგის ზრდას ემსახურება.** ანალიტიკოსებისთვის უცნობია, რაში სჭირდება ეს რეიტინგი იმ პრეზიდენტს, რომელიც თავს იკლავს, მესამე ვადით არ მსურს პრეზიდენტობაო. ამ ეტაპზე კი, კრემლიდან გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, **პუტინი თავის მრჩევლებს სულ დედას აგინებს „თქვენ მიმტკიცებდით, მარტო სააკაშვილია შლეგი და ნადირი, მთელი საქართველო როგორ გაშლეგდა და განადირდაო!“,** ეს კი კრემლის დერეფნებში ფრთხილი სიარულის მიზეზი გახდა.



ქართველების იარლიყქვეშ დღეს რუსეთში ასი ათასობით „კავკასიური წარმოშობის“ ადამიანი მოხვდა და არც არავის აქვს იმის გარანტია, რომ რუსული რასისტული ორგანიზაციების წევრები გამომეტყველებით დაიწყებენ აფხაზისა და ოსის გარჩევას. არაფერი სახარბიელო თავად რუსეთისთვის იმაში არ არის, რომ ანტიქართულ კამპანიაში, თუ სრულიად რუსეთი არ არის ჩაბმული, თავად მისი მიმდინარეობა და მასზე ჭორაობა ვლადივოსტოკიდან კალინინგრადამდე საკმაოდ კარგ ტონად იქცა.

ერთ-ერთი მიზანი, რასაც კრემლი თავისი ისტერიით ისახავდა, ნიუტონის მესამე კანონის ცხოვრებაში გამოცდაც იყო: ჩვენ მათ – ისინი ჩვენ. თუმცა, აქსიომად ქცეულმა კანონმა საქართველოს შემთხვევაში ვერ იმუშავა. საქართველოში – ბაზრებში, ტრანსპორტში, კაფეებში, ქუჩაში და თითქმის ყველგან, ნახავ პუშკინის ენაზე მოსაუბრე ადამიანებს და მათ არავინ უყურებს ამრეზით.

თავად რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საქართველოს სახელწიფოსა და რუსეთში ქართველებისადმი დამოკიდებულების ერთ დონეზე განხილვის გადაწყვეტილება, უკიდურესად პირადი გაღიზიანებით იყო გამოწვეული.

და მაინც, როგორ განვითარდება მოვლენები?

გაშიფრული მზვერავების თემა რუსეთში თითქოს არავის ახსოვს, არც მის ელჩს საქართველოში, რომელიც ჯაშუშების განთავისუფლების შემდგომ დაბრუნების პირობით გაემგზავრა თბილისიდან.

სწორედ ელჩის დაბრუნება საქართველოში იქნება ცივი ომის დაწყების სიგნალი. ვინაიდან იმ ვითარებაში ამჟამინდელი ქსენოფობია უკვე ჩამცხრალი იქნება, გამოსაძევებლები გამოძევებულები იქნებიან, მიყუჩდება საინფორმაციო ომიც.

სხვათა შორის, ეს ვითარება კვლავ ქართველების წისქვილზე დაასხამს წყალს. ვინაიდან რუსეთი საქართველოზე ზემოქმედების საბოლოო საშუალებას მოისპობს.

რუსეთს, როგორც არასაიმედო პარტნიორს, საქართველო ეტაპობრივად გაიყვანს კონფლიქტთან დაკავშირებული მოლაპარაკების ყველა ფორმატიდან, სავარაუდოდ აპრილისთვის კი საბოლოოდ დაემშვიდობება კონფლიქტის ზონებში მდგარ რუს ცისფერჩაფხუტიანებს. მერე კი იძახოს რუსეთმა, იქ ჩემი მოქალაქეები ცხოვრობენო, ამისთვის საქართველოს პასუხი ექნება – შენი მოქალაქეები შენს ქვეყანაში აცხოვრეო. ასე რომ, კონფლიქტის ზონებში მცხოვრებთ მოუწევთ რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმა, ან კიდევ მოსკოვში წასვლა, რასაც არსებული ვითარების შემხედვარენი ნამდვილად არ მოისურვებენ.

ერთი სიტყვით, თუ ისევ კრემლიდან გამოჟონილ პუტინის „გადარევის“ შესახებ ინფორმაციას დავეყრდნობით, საქართველოს მიმართ არაეფექტური გეგმების ინიციატორებს პუტინი თავებს სხვა მიზეზით დააყრევინებს.

**გოჩა მირცხულავა,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლაგოდეხში ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნა

**როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, მოსახლეობისთვის, ჰუმანიტარული დახმარების სახით, გუშინ სურსათი და ტანსაცმელი გაიგზავნა. ტვირთი ადგილობრივ გამგეობას ჩაბარდება, რომელიც მის განაწილებას ორგანიზებას გაუწევს.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დახმარებას ლაგოდეხში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას პირველი დღეებიდანვე უწევს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მაშველები ლაგოდეხში სტიქიური უბედურებისთანავე ჩავიდნენ და სამაშველო ღონისძიებების განხორციელებას დღემდე აგრძელებენ.

## ავტომანქანების ტექდათვალიერების საფასური გაიზრდება?

**შს სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დაიწუნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მის შესასწორებლად ერთი კვირა მიეცა.**

კანონპროექტის დაწუნების მთავარი მიზეზი ისაა, რომ მასში ტექდათვალიერების ტარიფის დადგენის წესი არ არის გაწერილი.

დეპუტატების განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ კანონში ეს პროცედურა არ გაიწერება, შესაძლოა, კომერციულმა ორგანიზაციებმა ტარიფი საკუთარი შეხედულებისამებრ დაადგინონ, რაც მოქალაქეებს დააზარალებს.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონპროექტში ტარიფის დადგენის წესებს გაითვალისწინებს, მას კომიტეტი ცალკე განიხილავს და გადაწყვეტს, იმსჯელოს თუ არა მასზე პარლამენტმა.

## აი, ტატიშვილის ნადავლი!



**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილი 43 წლის კახაბერ ტატიშვილი დააკავეს.**

როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, დაკავებულისგან დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალება, იარაღი, საბრძოლო მასალა და ფულადი თანხაა ამოღებული.

მათივე ინფორმაციით, ეჭვმიტანილის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 65 (13,3653 გრ) პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“. ხოლო საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – 10 ძირი „კანაფის“ მცენარე (15 კგ. 222 გრ.), „მაკაროვისა“ და „ტტ“-ს სისტემების პისტოლეტები, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი, 17 ყუმბარა, ორი „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 227 ცალი ვაზნა, 2 ცალი ხელყუმბარა და ერთი ცალი ფალია. ასევე ამოღებულია 525. 800 აშშ დოლარი და 5 950 ევრო.

შსს-ს განმარტებით, კახაბერ ტატიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## შამბას იდეები აწუხებს

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა მიიჩნევს, რომ აფხაზი პარლამენტარების მიმართვა რუსეთის ფედერაციისადმი და დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია.**

მისივე თქმით, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და ფედერაციაში ასოცირებულ წევრად შესვლა „აფხაზი ხალხის მრავალი წლის მიზანმიმართული ბრძოლის სამართლიანი შედეგი იქნება“. ამასთან ერთად, შამბა აღნიშნავს იმასაც, რომ მას კარგად ესმის, რომ რუსეთის საკანონმდებლო ორგანოსთვის ამგვარი გადაწყვეტილების მიღება იოლი ნამდვილად არ იქნება.

„მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, დადგა დრო, რომ რუსეთმა აღარ მოითმინოს, რომ სხვა დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყოს ეს პროცესი და თავად დაუდოს საფუძველი ამგვარ პრეცედენტებს“, – დარწმუნებულია სერგეი შამბა.

## აფხაზეთი იური ვორონოვის 65 წლისთავს აღნიშნავს



**აფხაზთა ე.წ. ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ საზეიმო ღონისძიებების ჩატარებასა და ორგანიზებას სპეციალური თათბირი მიუძღვნა. აფხაზი სეპარატისტები სპეციალურად ამ იუბილესთვის აფხაზეთში საერთაშორისო არქეოლოგიური კონფერენციის ჩატარებას გეგმავენ.**

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი რუსეთისა და საზღვარგარეთის 80-ზე მეტმა არქეოლოგმა გამოთქვა.

იური ვორონოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის გახსნა მიმდინარე წლის 7 ნოემბერს აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტში იგეგმება.

## აქცია-კონცერტი მიუსაფარი ბავშვებისთვის

**საქართველოს პროფკავშირის გაერთიანება მიუსაფარი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის დღეს აქცია-კონცერტს გამართავს.**

როგორც პროფკავშირების გაერთიანებაში საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ აცნობეს, 19 ოქტომბრისთვის დაგეგმილ კონცერტს დაესწრება 4 ბავშვთა სახლის 400 აღსაზრდელი.

კონცერტში, ბავშვების მოთხოვნით, მონაწილეობენ ზუკა ხუციშვილი, ნინი ბადურაშვილი, ანრი ჯოხაძე და სხვა ქართველი მომღერლები.

ბავშვებს გადაეცემათ სათამაშოები, „ნატახტარის“ ლიმონათები.

ბავშვთა სახლებს დაურიგდება საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები.

## წალენჯიხის რაიონის ყოფილი გამგებელი დააკავეს

**18 ოქტომბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ დააკავა წალენჯიხის რაიონის ყოფილი გამგებელი და ამჟამად ახლადარჩეული რაიონის საკრებულოს წევრი ტარიელ ჯანჯღავა.**

დაკავებულია მიწის განმკარგავი კომისიის თავმჯდომარე ლუთერ კვარაცხელია, მშენებარე „ხუდონჰესის“ დირექტორი ზურაბ ჯიქია და საპრივატიზაციო კომისიის თავმჯდომარე სოსო ხურცილავა.

ძებნაა გამოცხადებული გამგებლის ორ მოადგილეზე – ვალერი ჭანტურიაზე და ემზარ ალახანიაზე. მათ 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

დაკავებულებს ბრალი ედებათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების უკანონო გასხვისებასა და პრივატიზებაში.

**ინტერპრესნიუსი,**
**ჯი-ეიჩ-ენი.**

დედაქალაქი

# კიდევ ერთი უკანონო ნაგებობა დაინგრა




**ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა, ლოზუნგებისა და ავტოფარეხების შემდეგ, გუშინ ტროტუარებზე განთავსებული უკანონო ნაგებობების დემონტაჟი დაიწყო.**

პირველი ობიექტი ზედამხედველობის სამსახურმა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროს სადგურ „სამედიცინო ინსტიტუტთან“ დაანგრია.

როგორც ინტერპრესნიუსს ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი საგინაშვილმა განუცხადა, ობიექტს საიჯარო ხელშეკრულების ვადა ჯერ კიდევ 2003 წელს გაუვიდა. „მას არაერთხელ გაეგზავნა მოთხოვნა, რომ შენობა დაეკანონებინა და ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა, თუმცა, უშედეგოდ. ნაგებობის ნგრევას მფლობელების მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია“, – აღნიშნა მან.

საგინაშვილის ინფორმაციით, გუშინ დაინგრა შარტავას ქუჩაზე მდებარე მსგავსი უკანონო შენობა. სულ, დღის ბოლომდე თბილისში 15 უკანონო ჯიხურის დემონტაჟი მოხერხდა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ სოციალური სფერო

# სიკეთე უხმაუროდ,

## ანუ ნუ გეშინიათ, მიუსაფარნო!

აქ, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 50 თბილისელი დღეში ერთხელ სადილობს. ძირითადად, ხანდაზმულები არიან. ქალებიც და მამაკაცებიც უფრო მარტოხელობის, სიდუხჭირის და ინვალიდობის გამოა შეჭირვებული. საზოგადოება და



ხელისუფლება ვალშია ბევრი მათგანის წინაშე. მათ ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ. ხანდაზმულობის ჟამს კი, მწირი პენსიის ამარა დარჩენილები, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის გამო ზოგ მათგანს სიმებივით აქვს დაჭიმული ნერვები, აქ კი ყველას უყვარებენ და ესათუთებიან. მარტო კი არ აპურებენ, ცხოვრებასაც უხალისებენ.**

მიხვდით ალბათ, რომ ეს უმწეოთა სასადილოა. იგი კოლმეურნეობის მოედანზე მდებარეობს. მისი მეურვე და გამხსნელ-დამფუძნებელი საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ხელმძღვანელები არიან. მათ „ანგარიშზე" მრავალი სასიკეთო საქმეა... სასადილო ორი წლის წინათ გაიხსნა, კეთილი ადამიანების შემწეობით დღემდე შეუფერხებლად მუშაობს და ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ აქ მოსულმა თავი სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს. სწორედ ეს არის ასოციაციის წარმომადგენელთა მიზანი. რამდენს გაუქარწყლეს სიმარტოვით, უმწეობით გამოწვეული განცდა, რამდენის გულში გალღვა მიუსაფრობის ყინული...

სასადილოში ეწყობა საინტერესო შეხვედრები, მოჰყავთ ხელოვნების წარმომადგენლები, სასულიერო პირები. მოხუცებს აგრეთვე ხშირად სტუმრობენ ექიმები, რომლებიც თითოეულ მათგანს საფუძვლიანად იკვლევენ, აძლევენ საჭირო წამლებს და ხშირ შემთხვევაში მკურნალობენ კიდეც.

ასოციაცია ქველმოქმედებას სხვადასხვა ფორმით ახორციელებს. მისი წარმომადგენლები იმაზეც ზრუნავენ, რომ სასულიერო და საერო დღესასწაულების დღეებში საჩუქრებით (ტანსაცმლით, კვების პროდუქტებით, სარეცხი და პირადი ჰიგიენის საშუალებებით) გაახარონ არა მარტო ხანდაზმულები, არამედ ასოციაციის „ფრთებ ქვეშ" მყოფი (ასოციაცია უკვე რამდენიმე წელია უწყვეტად ეხმარება ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვებს საჭირო მედიკამენტებით, პირველადი დახმარების წამლებს გადასცემს მოხუცებს, ინვალიდებს, მრავალშვილიან ოჯახებს და სხვ.) ადამიანებიც.

ჩუმად, უანგაროდ ეწევიან ქველმოქმედებას. ასოციაციის მეტად შრომატევად საქმიანობას დიდი ჯაფა და ენერგია სჭირდება. სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის (სასადილოს ნორმალურ მუშაობასთან ერთადძ ბევრი რამ არის მოსაძიებელ-მოსაპოვებელი, რასაც პრეზიდენტი და მისი მოადგილე მაია კვეზერელი-კოპაძე და ნელი გურგენიძე თანამდგომთა შემწეობით წარმატებით უძლვებიან. უმწეოთა სასადილოში სამუშაოდაც კეთილსინდისიერი ხალხი შეარჩიეს, მერი ჯაფოშვილი კოორდინატორია, კლარა სვანიძე — სოციალური მუშაკი, ნანული გოგოჭური — შეფ-მზარეული, მათი დამსახურებაა, რომ აქ მუდამ გემრიელი სადილი, სისუფთავე, წესრიგი და თბილი გარემოა შექმნილი.

ამ სასადილოს შესახებ მისით მოსარგებლე ერთმა ღვაწლმოსილმა ქალბატონმა, ფილოლოგმა, საქართველოს რადიოს ყოფილმა თანამშრომელმა ლალი ცქვიტინიძემ რედაქციაში სტუმრობისას მიამბო. ამას წინათ კი ფოტორეპორტიორ ჯავარ ლომაძესთან ერთად სწორედ სადილობის დროს მივედი მათთან. სანამ სადილი დამთავრდებოდა, მერი ჯაფოშვილს გავესაუბრეთ. მოხუცებმა ჩვენი ვინაობა რომ შეიტყვეს, გარს შემოგვერტყნენ და სასადილოს ორგანიზატორებისა და თანამშრომლების მიმართ კმაყოფილება გამოთქვეს. მათ შორის იყვნენ: 40 წლის მასწავლებლობის სტაჟის მქონე აგნესა კვაშილავა, ხელოვნებათმცოდნე ელენე მერაბიშვილი, ეკონომისტი თენგიზ ლორთქიფანიძე, აგრონომი ქეთევან ცხადაია. იურისტი ვახტანგ თალაკვაძე და სხვები.

**ნათელა მაისურაძე** თავის გასაჭირზეც გვიყვება: მარტოხელა ვარ, ინვალიდი. ისნის რაიონში ვცხოვრობ, კატარაქტის ოპერაცია მჭირდება, უფასოდ მეკუთვნის. №23 პოლიკლინიკაში კი მეუბნებიან, სიაში გამორჩენილი ხარ, რაღაც შეცდომააო. გთხოვთ, იქნებ თქვენი რედაქცია დამეხმაროსო... ამ სასადილოში რომ არ დავდიოდე, არ ვიცი, რა მეშველებოდაო, — დასძინა.

— არ დაგიმალავთ, თავიდან მიჭირდა, მეხამუშებოდა უმწეოთა სასადილოში მოსვლა, მაგრამ ქალბატონებმა მაიამ და ნელიმ ამ აზრს შემაგუეს. ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ მათი, — ამბობს პოეტი **ლიდა სტვილია.** აქ თითქოს ჩემი ოჯახია და დედაჩემივით საჭმელს შინაც მატანენ (და არა მარტო მე). შესანიშნავ სადილებს ამზადებენ. კვირაში ორჯერ ხორციანი კერძებია. ისე მომეშმობლიურნენ აქ მომსახურენი, რომ სიხარულით მომიწევს გული. აქ ჩვენს ჯანმრთელობაზეც ზრუნავენ და გახალისებაზეცო, — კმაყოფილებით აცხადებს ქალბატონი ლიდა.

სასადილოს „დიასახლისები", თავის მხრივ, გულითად მადლიერებას გამოთქვამენ იმათ მიმართ, ვინც უანგაროდ ეხმარებიან. მათ შორისაა ფირმა „ნიკორა".



**მადლი, თანადგომა და სიკეთე რამ გაყო. ბედნიერია ის, ვინც ამ მარადიულ ღირებულებებს არის ნაზიარები, ვისაც სხვისი გაჭირვების გათავისება შეუძლია, სხვის ტკივილს განიცდის და სხვისი სიხარულით ხარობს.**

**ბელა დურგლიშვილი**

სურათებზე: სადილობის შემდეგ.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

***P. S.* ქალბატონ ნათელა მაისურაძის თხოვნა შევასრულეთ. ტელეფონით შევეხმიანეთ №23-ე პოლიკლინიკის ხელმძღვანელობას და ვითარებაში გარკვევა ვთხოვეთ. მათ აგვიხსნეს, რომ შეცდომა გამოსწორებულია და ნათელა მაისურაძეს კატარაქტის ოპერაცია უფასოდ, რიგის მიხედვით, ახალ წლამდე აუცილებლად გაუკეთდება.**

◉ განათლების რეფორმა

# ხანდაზმულ პედაგოგებს სკოლიდან არავინ უშვებს!

## თუ მათ ბავშვებთან ურთიერთობა, ჯანმრთელობის გამო, არ ეძნელებათ!

**„მცოცავი გრაფიკით" სასწავლო წლის დაწყებას უკვე მივეჩვიეთ. სარემონტო სამუშაოების დასრულება დათქმულ 18 სექტემბრამდე ყველა სკოლაში ვერ მოესწრო, რის გამოც ბევრგან 2 ოქტომბერს იზეიმეს სწავლის დაწყება.**

რა ცვლილებები იქნება წლეულს სასწავლო პროცესში და ელის თუ არა ასაკოვან პედაგოგებს სამსახურის დატოვება? — გვესაუბრება ეროვნული სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი **სიმონ ჯანაშია:**

— ბოლო ხანს, თითქმის ყოველწლიურად რაღაც სიახლეს ვთავაზობთ ჩვენს მოსწავლეებს და არც მიმდინარე სასწავლო წელია გამონაკლისი. პირველ რიგში, სკოლებში შეიცვალა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, — ათბალიან სისტემაზე გადავდივართ. ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მოსწავლეთა წარმატება. ასევე იცვლება კლასის ხელმძღვანელის ინსტიტუტი, თუ აქამდე კლასს ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა, ახლა უკვე შესაძლოა, ერთი ხელმძღვანელი მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს ჰყავდეს. არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფი მთელი კლასის მოსწავლეებისგან შედგებოდეს. შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა კლასის მოსწავლეები გაერთიანდებიან და სურვილის მიხედვით აირჩევენ დამრიგებელს.

წლეულს საგრძნობი სიახლეა პროგრამებშიც. ამჯერად პროგრამა ორიენტირებულია არა სწავლების პროცესზე, არამედ შედეგებზე. თუ ადრე პროგრამაში ეწერა, რა უნდა გაეკეთებინა მასწავლებელს, ახლა მთავარია, რას უნდა მიაღწიოს მან. გვაინტერესებს შედეგი. მთავარი ის კი არ არის, რომ გაატაროს პროგრამით გათვალისწინებული მასალა, არამედ ის, რომ მიაღწიოს შედეგს.

თითოეული პედაგოგი სწორედ შედეგზე იქნება პასუხისმგებელი.

ეროვნული სასწავლო ცენტრი წვრთნებს ატარებს პედაგოგებისთვის, რომ მათ უკეთ გაიაზრონ დღევანდელი მოთხოვნები. 8 დღის განმავლობაში წვრთნებს ეროვნული სასწავლო ცენტრის თანამშრომლები ჩაატარებენ, ხოლო მომდევნო 8 დღეს — ის პედაგოგები, რომელთა სკოლებშიც უკვე შარშან დაინერგა ეს სიახლეები.

საქართველოს 100 სკოლაში უკვე ჩატარდა აღნიშნული ექსპერიმენტი; მეთოდი საკმაოდ შედეგიანია.

ბოლო წლებში, თითოეულ საგანში რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობდა. მშობლებს არ შეეძლოთ სწავლის დაწყებამდე წიგნების შეძენა, რადგან არ იცოდნენ, მასწავლებელი რომელს აირჩევდა, წლეულსაც საქმე ისევ ასარჩევად გვაქვს, მაგრამ უფრო მოწესრიგებულად: როდესაც სკოლა აირჩევს სახელმძღვანელოს, ის ვალდებულია ამ წიგნით მომდევნო 3 წლის განავლობაში იხელმძღვანელოს.

მე-10 კლასში დაემატა სამოქალაქო განათლება. მოსწავლეები შეისწავლიან, თუ რა არის საზოგადოება, რისგან შედგება ის, რა უფლებები აქვს მოქალაქეს და ა. შ. ამ საგნის სწავლება ნაწილობრივ მიმდინარეობდა სკოლებში — სამართალმცოდნეობის, ბავშვთა კონვენციის, ადამიანის უფლებების სახით, — მაგრამ ახლა ეს საკითხები განსხვავებულად, უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი.

სკოლაში კვლავ რჩება დიფერენცირებული სწავლება იმ ფორმით, როგორითაც არსებობდა, აღარ იქნება ეგრეთ წოდებული სავალდებულო არჩევითი საგნები. ჰუმანიტარული განხრით მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნებს საერთოდ არ სწავლობდნენ, ახლა კი ვალდებულნი იქნებიან ერთი საგანი მაინც ისწავლონ საკუთარი სურვილის მიხედვით.

**ბევრს ლაპარაკობენ ხანდაზმულ პედაგოგებზე — მათ სკოლიდან უშვებენო! გამოცდილ პედაგოგებს სკოლიდან არ გავუშვებთ. სპეციალურად მასწავლებლებისთვის გახსნილი გვაქვს კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. ხანდაზმულ პედაგოგებს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად — ცოდნაც. თუ მათ ჯანმრთელობა ხელს უწყობთ, ბავშვებთან ურთიერთობა არ უჭირთ, ნებისმიერ ასაკში შეუძლიათ ასწავლონ.**

**ნათელა ფაილოძე**

◉ ვასწორებთ უზუსტობას

გუშინ, 18 ოქტომბერს, ჩვენი გაზეთის მე-8 გვერდზე გამოქვეყნდა ამჟამად ნიუ-იორკში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, აკადემიკოს **მიხეილ როკეტლიშვილის წიგნის „საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები და ნარკვევები ჩემთვის ცნობილ ადამიანებზე"** — (რუსულ ენაზეძ — რეცენზია — **„საქართველოს პატრიოტები"**, რომელსაც აკადემიკოს **რეზო ფაჩულიასთან** ერთად ხელს უნდა აწერდეს აგრეთვე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით კურტანიძე.** რედაქცია ბოდიშს იხდის ამ უნებლიე უზუსტობისთვის.

**მიმდინარეობს შპს „სტაილ დისტრიბიუშენ ჯორჯიას" ლიკვიდაცია, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 2004 წ. 5 ივლისს, №5/4-4031 დადგენილებით.**

**ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ, მოგვმართოთ ტელეფონზე: 25-10-40.**

**სალიკვიდაციო კომისია**

SOS!

# ციხისელმა „მრისხანე“ გვარი გაამართლა

## სახალხო დამცველმა პროკურორის დასჯა მოითხოვა

**2005 წლის 16 დეკემბერს 23:00 საათზე ქ.თბილისში ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მოქალაქე დავით ბაძგარაძე. ბაძგარაძეს გამოძიებამ ბრალი დასდო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რისთვისაც მას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება შეეფარდა.**

პროკურორმა ნინო ციხისელმა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მოახდინა ბრალდების ფორმულირება, რაც დადასტურებულია 2006 წლის 20 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენით.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძემ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ასევე პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 16 დეკემბერს დავით ბაძგარაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს, შექმნეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს თავს დასხმოდნენ რომელიმე მოქალაქეს და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ სხვის ქონებას. საღამოს, დაახლოებით 8 საათზე მივიდნენ თბილისში ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, №401-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაღში. ბაძგარაძე, გამოძიებით დაუდგენელ თანამონაწილეებთან ერთად, წინასწარ მომარჯვებული დანით თავს დაესხა მოქალაქე სოფო ზურაბიშვილს და გასტაცა შავი ფერის ხელჩანთა.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძე, თავის მეგობარ გ. ლაღაძესთან ერთად, 17 საათზე ქუთაისიდან გამოემგზავრა თბილისში. ავტობუსი, რომელშიც ბაძგარაძე იმყოფებოდა, 21 საათზე სოფელ წეროვანის ტერიტორიაზე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოჰყვა და შედეგად ფეხით მოსიარულე ადამიანიც კი დაიღუპა.

ბაძგარაძემ თავისი მობილური ტელეფონიდან დარეკა საპატრულო პოლიციაში და, პატრულისა და სასწრაფო დახმარების მანქანების მოსვლის შემდეგ, უშუალოდ მონაწილეობდა ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილი მამაკაცის სასწრაფო დახმარების ოპერაციაში. ბაძგარაძემ და ლაღაძემ თბილისში დაახლოებით ღამის 11 საათზე ჩამოაღწიეს და ახლობლის სანახავად მეტრო „მარჯანიშვილთან“ მდებარე პოკერკლუბში შევიდნენ, სადაც ბაძგარაძე პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

პროკურორი არ დაინტერესდა საქმის არსებითი გარემოებებით. არ მოიძია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები.

დავით ბაძგარაძე 2005 წლის 16 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ფიზიკურად არ იმყოფებოდა თბილისში. სასამართლო სხდომაზე მან ზუსტი თანმიმდევრობით აღწერა ავტოავარიის დეტალები. მისი ჩვენების უტყუარობას კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმე ლაღაძემ, როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიებისას თავისი ჩვენებით დაადასტურა ბაძგარაძესთან ერთად მგზავრობის, ავტოავარიისა და თბილისში ჩამოსვლის ფაქტი. იგი ანალოგიურად, ზუსტად და თანმიმდევრულად მიუთითებს 2005 წლის 16 დეკემბრის დღის მოვლენებს ქუთაისიდან გამომგზავრების შემდეგ თბილისში მათ დაკავებამდე.

როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლოში ჩვენება მისცა ასევე თბილისის, დიდუბის ავტოსადგურ „ოკრიბას“ მძღოლმა ი. ჭელიძემ. მისი ინფორმაციით, 2005 წლის 16 დეკემბერს 17 საათზე ავტოსადგურის ადმინისტრაციის თანხმობის შემდეგ, მან ორი ახალგაზრდა (ბაძგარაძე და ლაღაძე) თბილისში ფასდაკლებით – 9 ლარად წამოიყვანა.



განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოფელ წეროვანთან მომხდარი ავტოავარიის შემდეგ საპატრულო პოლიციაში თვითონ დავით ბაძგარაძემ დარეკა, რასაც ადასტურებს შპს „ჯეოსელიდან“ მოწოდებული ბაძგარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან განხორციელებული ზარების დეტალური ნუსხა. კერძოდ, ზემოაღნიშნული ამონაწერიდან დასტურდება, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს ბაძგარაძის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან განხორციელებულია გამავალი ზარები 022-ზე ოთხჯერ – 20:57 საათზე; 21:00 საათზე; 21:02 საათზე და 21:03 საათზე იგოეთის ანძიდან. იმ დროისათვის, დაზარალებულ ს.ზურაბიშვილზე უკვე მომხდარი იყო ყაჩაღური თავდასხმა თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში.

ის გარემოება, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს დავით ბაძგარაძეს თავისი კუთვნილი ტელეფონი სხვისთვის არ გადაუცია, მოწმეთა ჩვენებების გარდა, იმითაც დასტურდება, რომ ზარები განხორციელებულია მის უახლოეს ადამიანებთან – მეუღლესთან, მშობლებთან, მეგობრებთან. ამასთან, დაკავების დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა თავისი მობილური ტელეფონი და ტელეფონის დამტენი.

პროკურორმა ნივთმტკიცებად მარტოოდენ ამოცნობისა და ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლების ჩვენებები გამოიყენა. დაზარალებულის ჩვენებით, ერთ-ერთ დამყაჩაღებელს – დავით ბაძგარაძეს თავდასხმის მომენტში თავზე ეხურა ქუდი. დაზარალებულმა, 16 დეკემბრის 20 საათზე (ზამთრის ბნელ საღამოსძ, ჩაბნელებულ სკვერში, ქუდს ქვემოთ გაარჩია ბაძგარაძის თმის ფერი და ვარცხნილობა. სახალხო დამცველი ვარაუდობს, რომ დაზარალებული ან კეთილსინდისიერად ცდებოდა, ან შეგნებულად იძლეოდა ცრუ ჩვენებას. რაც შეეხება ბაძგარაძის დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან თავის ჩვენებებში განმარტავენ, რომ დ. ბაძგარაძე დააკავეს დაზარალებულის მითითების საფუძველზე.

პროკურორმა ნინო ციხისელმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი.

„დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“, სსსკ-ის მე-18 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, „პროკურორი, გამომძიებელი და სასამართლო ვალდებულნი არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება“.

პროკურორს არ გაურკვევია საქმის ყველა გარემოება. მტკიცებულებად ჩათვალა მხოლოდ დაზარალებულის ამოცნობისა და პოლიციელთა ჩვენებები. იმ მოწმეთა ჩვენებები კი უგულებელყო, რომლებიც პირდაპირ ამტკიცებდნენ ბაძგარაძის უდანაშაულობას. საპროცესო კანონით კი საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი, რათა არ მოხდეს უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემა. პროკურორმა ნინო ციხისელმა არაფრად ჩააგდო საპროცესო კანონით გათვალისწინებული სამართლიანობის პრინციპი და 21 წლის უდანაშაულო ახალგაზრდა სრულიად უკანონოდ, მთელი 8 თვით გამოამწყვდია საპყრობილეში.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა პიროვნების უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პროკურორის ქმედებებში იკვეთება დანაშაულის ნიშნები. ის, რომ პროკურორი ნინო ციხისელი არ დაინტერესდა ბაძგარაძის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებებით, მიუთითებს მის გულგრილ დამოკიდებულებაზე საქმის მიმართ, რითაც არსებითად შეილახა ადამიანის უფლებები.

სახალხო დამცველმა აპარატის მიერ მოპოვებული სათანადო მასალები წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს გადაუგზავნა და პროკურორ ნინო ციხისელის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ითხოვა.

**ჯი-ეიჩ-ენის მიხედვით**

ინფორმაცია თემაში

## სოზარ სუბარის გადადგომა ჭორია

***საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციაზე პრეზიდენტის მიერ სახალხო დამცველის მოხსნის შესახებ, უმრავლესობაში და ოპოზიციაში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ.***

***„მთავრობას დიდი ხანია სუბარი თავისი გამოსვლების გამო ყელში ეჩხირება და მისი ჩანაცვლება ვინმე ნეიტრალური ფიგურით გამორიცხული არ არის,“ – აცხადებს კახა კუკავა.***

***უმრავლესობის თქმით კი, პრეზიდენტი სუბარის შეცვლას არ აპირებს, მიუხედავად მისი რადიკალური პოზიციისა.***

***„პირადად ჩემთვის ბევრი მისი განცხადება ობიექტური არ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად მე მაინც ვთვლი, რომ ეს მხოლოდ ჭორია,“ – აცხადებს უმრავლესობის წარმომადგენელი ლევან ბეჟაშვილი.***

ბანკი

# „ინფლაციის მიმოხილვა“ ყველას დაგვეხმარება

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის მეორე კვარტლის შედეგების ამსახველი რიგით მეორე ბროშურა „ინფლაციის მიმოხილვა“ გამოსცა. ამასთან დაკავშირებით გუშინ, ეროვნულ ბანკში მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.**

ჟურნალისტებს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემა საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი კალანდაძემ წარუდგინა, მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვალობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვა ღონისძიებებთან ერთად, კვარტლების მიხედვით „ინფლაციის მიმოხილვის“ რეგულარულად გამოცემას გეგმავს. ამას მსოფლიოს მრავალი ცენტრალური ბანკი ახორციელებს, რადგან, როგორც წესი, მასში აისახება მონეტარული ხელისუფლების შეხედულებები ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე იმ პროცესებზე, რომელთაც დიდი გავლენა აქვს ფასების დინამიკაზე. ასეთი ანგარიში ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე განმარტავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ იმ ცენტრალური ბანკებისათვის,




რომლებიც ინფლაციის რეგულირების რეჟიმს ახორციელებენ, „ინფლაციის მიმოხილვა“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითადი დოკუმენტია.

„ინფლაციის მიმოხილვის“ შემდგენელია საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკისა და მაკროეკონომიკის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელმა არჩილ მესტვირიშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ინფლაცია ივნისსა და ივლისში იზრდებოდა, სექტემბერში კი ივლისის მაჩვენებელი 14,5 პროცენტიდან 11,2 პროცენტამდე შემცირდა. წლის ბოლომდე ინფლაცია ისევ შემცირდება. ინფლაცია რომ შეჩერდეს, ამისთვის ფასები მსოფლიო ბაზარზეც უნდა დარეგულირდეს.

2006 წლის მეორე კვარტალში, პირველთან შედარებით ფასები 4,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 11,4 პროცენტს გაუტოლდა. საკმაოდ მაღალი იყო აგრეთვე საბაზრო ინფლაციის სიდიდეც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნის ფაქტორებმაც მოახდინა დიდი ზეგავლენა. გაიზარდა მწარმოებელთა ფასების ინდექსიც, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მსოფლიო ბაზარზე ლითონებისა და ენერგომატარებლების ფასების ზრდამ შეიტანა.

**რას გვიქადის მესამე კვარტლის შედეგები, ამაზე, ალბათ, მოგვიანებით შევიტყობთ. „ინფლაციის მიმოხილვის“ გამოცემა უდავოდ კარგი საქმეა ეკონომიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის.**

**ლალი ირემაშვილი**

◎ ტრანსპორტი

# ამას მგზავრობა ჰქვია?!

## ყვითელ ავტობუსებში ზედახორაა

**რუსთაველის პროსპექტზე მინდა ავტობუსით მოვხვდები, მინდა ვერტმფრენით, ვისი რა საქმეა, ეს ერთი არჩევანი მქონდა და ისიც მომისპეს — გაკაპასებული ხანშიშესული ქალი ძლივს დავაწყნარე და ჩემი სკამი დავუთმე.**

— გაგონილა, აღარც სამარშრუტო ტაქსი, აღარც ტროლეიბუსი, ამ ყვითელი ავტობუსების ამარა დატოვეს მილიონნახევრიანი დედაქალაქი, ეს როგორ შეიძლება, ველოდები, ველოდები და არ ჩანს ბატონო ეს №55 ავტობუსი. მომიბრუნდა და გააგრძელა ქალბატონმა. მოხუცი ძლივს დავაშოშმინე.

მართალი გითხრათ, რაც ამ ბოლო ხანს ტრანსპორტში ხდება, ნამდვილად აუტანელია. აშკარაა, რომ შემცირდა ავტობუსების რაოდენობა, თუ ხალხმა მოიმატა თბილისში არ ვიცი, მაგრამ ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

თითქოს, ის არ გვეყოფა, რომ ამ ვიწრო, ერთმანეთს გვერდს რომ ვერ ავუვლით ისეთი ავტობუსით გვიწევს მგზავრობა, ახლა ასეთი გაუსაძლისი ჭედვა გვერდებს ჩაამტვრევს ადამიანს.

ზაფხულში კინაღამ გავიგუდეთ, ისე ცხელოდა ავტობუსებში, მერე ხუფიც გაუკეთეს, საიდანაც წვიმის დროს წყალიც ჩამოდისძ. ფანჯრებიც გამოჭრეს, მაგრამ მაინც არაფერმა უშველა. ახლა შემოდგომაა, სიცხე არ არის, მაგრამ ავტობუსში იმდენი ხალხია, თავისუფლად ვერ ახვალ. მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი.

ამბობენ, რომ მძღოლებს უჭირთ სათადარიგო ნაწილების შოვნა. ამიტომ ხაზზე ყველა ავტობუსი ვერ გამოდის და მგზავრების დიდ ნაკადს მცირე რაოდენობის ავტობუსები ვერ აუდის.

ვფიქრობ, ასე ერთი ხელის მოსმით რუსთაველის პროსპექტისკენ მიმავალი სამარშრუტო ტაქსების მთლიანად აკრძალვა გამართლებული არ იყო, და თუ ეს მაინც მოვიმოქმედეთ, მაშინ ყვითელი ავტობუსები წუთი-წუთზე უნდა მოდიოდეს, თუნდაც ისე, როგორც ეს მოსკოვშია. მგზავრი გვერდით გახედვას ვერ მოასწრებს, მის ფეხებთან ისე მალე ჩერდება ავტობუსი და განა მარტო ეს ტრანსპორტი? იქ ტროლეიბუსი ავტობუსების მოძრაობას არ ჩამოუვარდება. სამარშრუტო ტაქსებიც ბლომადაა. ეს მაინცდამაინც ჩვენ ავიჩემეთ და მოვსპეთ ცენტრალურ გზებზე ტროლეიბუსებიც და სამარშრუტო ტაქსებიც. ტროლეიბუსების დეპოში ახლა ნაირ-ნაირი სახლები შენდება, თბილისში გაჩაღებული ბინათმშენებლობა კარგია, განა ცუდია, მაგრამ გაუძლებს კი თბილისის მიწისქვეშა და, თუ გნებავთ, მიწისზედა საყოფაცხოვრებო კომუნიკაციები ასეთ დიდ დატვირთვას — ამაზე ვინ ფიქრობს ნეტავ?

დავუბრუნდეთ ისევ ტრანსპორტს. ხშირად, თუ გნებავთ ვინმეს საინტერესო სახელი გაიგოთ, დააკვირდით თქვენს წინა სკამის საზურგეს. რა სახელებს აღარ ამოიკითხავთ აქ — „ნიკა, თიკო, აზესა, კოწია, „ლელა“ და სხვა. სკამის რბილი, ხელის ჩასაჭიდებელიც ხშირად დანით ამომტვრეულია ან დასერილია.

ამის შემხედვარეს ნამდვილად გული მტკივა, ნუთუ ჩვენ, ის ახალგაზრდაა თუ ჭარმაგი, გვეკადრება რომ ასე უდიერად მოვექცეთ გნებავთ ტრანსპორტს, გნებავთ სხვა რამეს, ეს ხომ ჩვენს კულტურასა და ქცევაზე მიგვანიშნებს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ავტობუსში თითქოს ვერ ვხედავთ ფეხმძიმე თუ ბავშვიან ქალს, ხანშიშესულ ადამიანს, ეს ხომ ერის გადაგვარების ერთ-ერთი ნიშანია. რატომ უნდა ვათქმევინოთ ვინმეს, რომ უნარ-ჩვევებში ახალგაზრდას ასეთ მოქცევას ასწავლიან, რომ მან 20 თეთრი მგზავრობის ფული გადაიხადა, ამიტომ შეუძლია ადგილი არავის დაუთმოს.



ნებისმიერი საგანი ან ლიტერატურა რაგინდ ცუდი ქცევისკენ მიგვითითებდეს, საქართველოში უფროსისადმი პატივისცემა ჩვენს ერს ოდითგანვე მოსდგამს და ამის უარყოფა არ შეიძლება. თუმცა ახალგაზრდების უმეტესობა ამას ვერ ხვდება და როცა შემოგხედავენ, მაშინვე ცივი თვალებით სადღაც შორს გაიხედავენ, ნუთუ ესეც დრომ მოიტანა?..

როგორც ვიცით, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, ვიმედოვნებთ, რომ იგი არსებულ ხარვეზს გამოასწორებს და უკეთესად იზრუნებს ავტობუსების სწორად განაწილებასა და მისი რაოდენობის გაზრდაზე.

**იმასაც დავუმატებ, ხშირად ჩივიან სტუდენტები, რომ უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან აეროპორტის დასახლებამდე გადაადგილება უჭირთ და სანამ სახლამდე მიაღწევენ, რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ. ალბათ, ესეც მისახედია.**

**ლალი ქინქლაძე**

◎ გამოცა

# „სალი კოლხელი“ – „ჰარი პოტერის“ ნაცვლად

**ამ წიგნის ავტორი შვიდი შვილის დედა და საუცხოო პოეტია. „მის უჩვეულო, არაორდინარულ ხელწერასა და ტალანტს ყურადღება მიაქციეს და არაერთი ლიტერატურული წერილიც უძღვნეს გამორჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა“, — წერენ წიგნის შესავალ წერილში მწერალი მაკა ჯოხაძე და თეოლოგი აკაკი მინდიაშვილი. და თუ აქამდე ლია რუსიაშვილს მკითხველი საზოგადოება როგორც პოეტს ისე იცნობდა, ახლა მან სულ სხვა ამპლუაში თქვა სიტყვა. ეს არის საბავშვო ლიტერატურა.**

თუმცა წიგნი „სალი კოლხელი“ ტრადიციულ საბავშვო ლიტერატურის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარწმუნოებრივი მწერლობაა და ამით არის ფასეული. დღეს, როდესაც სამყაროში ასე აშკარად არის გაფართოებული ცოდვის დიაპაზონი, მომძლავრებულია ბოროტი ძალების ზეგავლენა ადამიანზე, რასაც განსაკუთრებით იოლად ემორჩილება მოზარდი თაობა, გამორჩეული ფასი ედება იმგვარ ლიტერატურას, რომელიც სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებასა და მანკიერ ზეგავლენათაგან თავის დაცვაში დაეხმარება ყმაწვილებს. „ამ ტექნოკრატიულ-გლობალისტური ხანის თაობას თუ რამ განსაკუთრებულად აკლია და სჭირდება, სწორედ რომ გამოკვეთილად



სარწმუნოებრივი მწერლობა, მისი ჰუმანისტურ-ზნეობრივი ფასეულობებით. „სალი კოლხელი“ სწორედ ამ მიმართულების ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება... ეს წიგნი მოკლებულია ფანტაზიურობას, ილუზორულობას, ჯადოსნურ-ზღაპრულ საშუალებებს სიუჟეტის განვითარებისათვის... აქ ისეთი არაფერი ხდება, რაც წმიდა მამებს არ შესძლებიათ, ცხადია, ღვთის ძალით და არა ეშმაკთან წილნაყარობით.“ — წერს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ქურდიანი.

წაიკითხონ ჩვენმა პატარებმა პატარა გოგონა სალისა და მისი და-ძმების მხიარული თავგადასავლები და იცხოვრონ ცოტა ხნით მათს სამყაროში; წაიკითხონ უფროსებმაც და აუხსნან უმცროსებს, რაც დგას ამ წიგნისა და იმ ცხოვრების მიღმა, რომელსაც ისინი ხილულად ეცნობიან. ავტორმა შექმნა იმგვარი ნაწარმოები, რომელიც ბავშვებს მოიზიდავს არა უარყოფითი ძალების დახმარებით — ჯადოქრობებითა და მაგიით, არამედ — ქრისტიანული სწავლებით, ვინაიდან ქრისტიანული ცხოვრების წესი, ეკლესიის სწავლებაზე აგებული დამოკიდებულებები მუდამ იყო და კვლავაც რჩება საქართველოს სიცოცხლის საწყისად. ასე რომ, წაიკითხონ ჩვენმა შვილებმა „სალი კოლხელი“ „ჰარი პოტერის“ ნაცვლად.

**ლინა გიორგაძე.**

# „საუნჯეში“ დავანებული საუნჯე




**შესანიშნავი საჩუქარი ელით ალმანახ „საუნჯის“ მკითხველებს. წლევანდელი მესამე-მეოთხე ნომერი იხსნება ლეგენდარული სამხრეთამერიკელის გაბრიელ გარსია მარკესის ბოლო რომანით. „ჩემი ნაღვლიანი მეძავების გახსენების ჟამს“ ესპანურიდან შესანიშავად თარგმნა ელზა ახვლედიანმა. ოთხმოცდაათს მიღწეული მარტოხელა ბერბიჭა კაცის ცხოვრებისა და სიცოცხლის ბოლოს უცნაური ახირებულობის ისტორიაა მწერლის ეს რომანი.**

ამავე ნომერში იწყება ცნობილი სერბი მწერლის მილორად პავიჩის გურამ გოგიაშვილის მიერ გადმოქართულებული „ხაზარული სიტყვისკონა“ ავტორისეული წინასიტყვაობით, ანდროგენული ვერსიის პირველსათქმელითა და მეორე, აღდგენილი და შევსებული გამოცემის წინასწარი შენიშვნების დართვით. მკითხველი გულგრილი არ დარჩება ამ მეტად თავისებური, რთული და საგულისყურო ისტორიული რომანის მიმართ. ჟურნალის ამ ნომერში „ხაზარული სიტყვისკონის“ პირველი — წითელი წიგნი იბეჭდება.

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება გრიგოლ რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერი“ — უცხოელი მწერლის თვალით. იგი გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო დალი ფანჯიკიძემ. ესსეს დედანი ამოღებულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდიდან.

ამავე ნომერში წაიკითხავთ ყოფილი საბჭოელი პოეტების ლექსებს საქართველოზე, აფხაზი მწერლის ბაგრატ შინკუბას მოთხრობას „გაპობილი ქვა“ (გაგრძელებაძ. აქვე გრძელდება ნანა ახობაძის მიერ თარგმნილი ლევ ტოლსტოის „აღსარება“ (გამოუქვეყნებელი თხზულების შესავალიძ და ზაურ კილაძის მიერ თარგმნილი იანუშ კორჩაკის „როგორ უნდა ბავშვის სიყვარული“, რომლის წინა თავებიც „საუნჯის“ შარშანდელ ნომრებში იბეჭდებოდა.

მეტად საინტერესოა აწგარდაცვლილი ფიზიკოსის, ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ლევან აბულაძის შესანიშნავი თვალთახედვით დაწერილი „ნათესაური კავშირები ვაჟა-ფშაველასა და ანტონ ჩეხოვს შორის“. დასანანია, რომ ბატონი ლევანი ჟურნალის ამ ნომრის გამოსვლას ვერ მოესწრო.

**ავთანდილ ბექაური**

◎ კონტაქტები

# ფილატელისტთა ოცნება

**შარდენის ქუჩაზე მდებარე გალერეაში საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს ორგანიზებით აზერბაიჯანის მარკების გამოფენა გაიმართა. ამ ქვეყნის საფოსტო მარკები პირველად ჩამოიტანეს თბილისში. ეს იმ კულტურული ღონისძიებებიდან ერთ-ერთია, რომელსაც საელჩო დედაქალაქში გეგმავს.**

გამოფენა საქართველოში აზერბაიჯანის ელჩმა — ნატიკ ალიევმა გახსნა. მან ისაუბრა წარმოდგენილი მარკების მხატვრულ ღირებულებებსა და თემატიკის მრავალფეროვნებაზე და აღნიშნა, რომ თბილისელ დამთვალიერებელს პირველს ეძლევა საშუალება იხილოს ეს კოლექცია, მას მხოლოდ თბილისის შემდეგ ჩაიტანენ ბაქოში.

1992 წელს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაიცა ბრძანებულება გამოეცათ ამ ღირსშესანიშნავი დღის აღმნიშვნელი მარკები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კომპანია „აზ-მარკას“ მიერ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოშვებული მარკები. აღნიშნული ფირმის პროდუქცია 200-მდე თემატიკისაა და დემონსტრირდება მთელს მსოფლიოში.

ექსპოზიცია მოიცავდა ორ თემატურად განსხვავებულ კოლექციას — ერთი ეძღვნებოდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე გადაწყვეტილი იყო სხვადასხვა ჟანრში.

ეს პროგრამა ხორციელდებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის უშუალო პატრონაჟითა და ინიციატივით, აგრეთვე ჰეიდარ ალიევის ფონდის, აზერბაიჯანის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და კომპანია „აზმარკას“ პრეზიდენტის ინტიგამ პაგირლეის მხარდაჭერით.

გამოფენის გახსნას მაღალი რანგის სტუმრებიც დაესწრნენ. მათ შორის აშშ-ს, ჩინეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, იტალიის, ისრაელისა და რუსეთის ელჩები, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი ჯემალ ინაიშვილი და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი. ამ უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის საელჩოს კულტურის სფეროში მორიგი ინიციატივისთვის და აღნიშნა, რომ ამგვარი გამოფენა არა მხოლოდ საინტერესო და ლამაზია, არამედ მას საინფორმაციო დატვირთვაც გააჩნია და გარკვეულწილად ხელსაც შეუწყობს ქვეყნის ნორმალიზაციას. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ შესაძლოა მომავალში ორმა მეგობარმა ქვეყანამ ამ კუთხითაც ითანამშრომლოს.

დასასრულ სტუმრებმა აზერბაიჯანული ღვინო დააგემოვნეს.

**ნინო გურიელი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილი:

# ევროპა საქართველოს უნდა დაეხმაროს

**— თუ დაისახა რაიმე პროგრესი საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კრიზისის მოგვარებაში?**

— ის, რაც ამჟამად რუსეთში ხდება, შორს სცდება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობაში არსებული უბრალო კრიზისის ფარგლებს. გაოგნებული ვარ ზოგიერთი გამონათქვამით, რომლებიც ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ქართულ დიასპორას რუსეთში უწოდებენ „არმიას“, რომელიც თითქოს „მტრული სახელმწიფოს“ სამსახურში იდგეს, აკეთებენ განცხადებებს „ეთნიკური გაზინძურების“ შესახებ — აბა, რისი თქმა შეიძლება აქ! ყოველივე ამაში მე ვხედავ უდიდეს საფრთხეს, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსეთისთვის. ეს ევროპასაც ეხება, გვეხება ყველას. ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც ცდილობენ გაათამაშონ ეროვნული კოზირი, ეს კი ძალზე საშიშია.

**— სამშაბათს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიიღებენ პოლიტიკურ განცხადებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული კრიზისის შესახებ. რას ელით ევროპელებისგან?**

— იმედი გვაქვს, რომ ისინი მტკიცე პოზიციას დაიკავებენ. დაუშვებელია, არ იმოქმედო გაბედულად მაშინ, როცა საქმე ეხება ადამიანების უფლებების ასეთ აღმაშფოთებელ დარღვევებს. არ არის საჭირო რუსეთის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, პირიქით, იგი უნდა ვაიძულოთ, რომ სცეს პატივი თავისუფალი მსოფლიოს ფუძემდებლურ პრინციპებს და ამით დაადასტუროს, რომ ერთგულობს ასეთ მსოფლიოს. რუსეთში არსებობენ ადამიანები, რომლებიც აკეთებენ ნაციონალისტურ განცხადებებს, მაგრამ არიან პრაგმატული ადამიანებიც, რომლებსაც ძალზე კარგად ესმით კაპიტალიზმის და თანამედროვეობის ენა. სწორედ ამ ენაზე უნდა ველაპარაკოთ მათ. ჩვენ გვსურს, რომ ევროპა დაგვეხმაროს ამ კრიზისის მოგვარებაში კონკრეტული ღონისძიებების საშუალებით, მაგალითად, გაამარტივოს ევროპის ქვეყნებში შესვლისთვის არსებული ფორმალობები ჩვენი ქვეყნის საქმიანი ადამიანებისთვის, ქართველი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც სურთ ევროპაში სწავლა. მაგალითად, თურქეთს არ შეუძლია თავისუფლად ივაჭროს საქართველოსთან მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობს შეთანხმება ევროკავშირთან საბაჟო კავშირის შესახებ. ახლა, როცა ჩვენთვის დაიხურა რუსეთის ბაზარი, მოდით, გამოვნახოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც



ევროპის ბაზარს უფრო ღიას გახდის ჩვენთვის.

**— ასე ფართოდ რატომ გააშუქეთ ჯაშუშობაში ბრალდებული რუსი სამხედროების დაკავება?**

— ეს ასეთი სახის პირველი ინციდენტი არ გახლავთ. უკანასკნელად ასეთი რამ მოხდა რამდენიმე თვის წინათ, როცა ჩვენ უხმაუროდ დავაბრუნეთ რუსეთში სამხედრო, რომელიც ახორციელებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ჩვენს ტერიტორიაზე. მაშინ ჩვენ განვაცხადეთ, რომ არ გვსურს ასეთი სიტუაციის განმეორება. მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. არადა, ის სამხედროები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დავაკავეთ, საქართველოში ხელისუფლების დამხობას ამზადებდნენ. სხვათა შორის, მოსკოვში ეს ფაქტი არავისთვის არ ყოფილა სადავო. გვსაყვედურებენ, რომ თითქოს წესების დაცვით არ ვმოქმედებდით. ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ რუსეთმა შეწყვიტოს ასეთი საქმიანობა. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ყურად იღონ ჩვენი მოწოდებები? ჩვენ გვსურს თავისუფლება, ეს არის და ეს.

**— ხელისუფლების სათავეში თქვენ სამი წლის წინათ მოხვედით. იქნებ, შეაჯამოთ თქვენი პრეზიდენტობის წინასწარი შედეგები?**

— ეკონომიკური სიტუაცია თანდათანობით უკეთესი ხდება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ამ სფეროში, უნდა მოვიზიდოთ მეტი ინვესტიციები. იცით, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა ვართ? იცით, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველოს უწოდა ლიდერი რეფორმების სფეროში? მთელი სირთულეების მიუხედავად, ჩვენ მაინც განვაგრძობთ წინსვლას. საჭიროა, რომ ეს შემდგომშიც ასე იყოს. ამისთვის კი დახმარება გვჭირდება.

**— რა გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთის მიერ შემოღებული ემბარგო და რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია?**

— ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნება კარგია, მაგრამ არც ის ადამიანური ტრაგედია უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც ამ ხალხის იძულებით დეპორტაციას მოჰყვა. ჩვენი თანამემამულეები გვჭირდება. მრავალმა სპეციალისტმა თავის დროზე დატოვა საქართველო, რადგან ვერ შეძლეს ნორმალური სამუშაოს პოვნა. სამი წლის წინათ, როცა დავიწყეთ გზების შეკეთება, მივხვდით, რომ ქვეყანაში არ იყვნენ ინჟინრები — ყველა რუსეთში წასულიყო. ამიტომ, მათი დაბრუნება ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა. რაც შეეხება ბლოკადას: არა მგონია, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. რა თქმა უნდა, ზრდის ტემპი რამდენადმე შენელდება, მაგრამ ამას გავუძლებთ.

**— საქართველოში მრავალი რუსი ცხოვრობს, რა ელის მათ?**

— არაფერი. ამ ადამიანების დაკარგვა ჩვენთვის საშინელება იქნება. ამ ცოტა ხნის წინათ მივედი რუსულ სკოლაში, რათა ბავშვებისთვის მეთქვა, რომ საქართველო მათი სამშობლოა. ისეთი დახვედრა მომიწყვეს, რომ გული ამიჩუყდა. ის რუსები, რომლებიც მოსკოვმა ამ ბოლო ხანებში გახიზნა საქართველოდან, ძირითადად იყვნენ ტურისტები, მათივე სამშობლოს მიერ შემოღებული საჰაერო ბლოკადის მახეში მოხვედრილი ხალხი. განხორციელდა ასევე რუსი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრთა ევაკუაცია. მრავალი მათგანი საქართველოში უკვე დიდი ხანია ცხოვრობს და აქედან წასვლა არ უნდოდა. ჩვენ მტკიცედ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია: იმ სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც ბათუმისა და ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზებში მსახურობენ, შეუძლიათ საქართველოში დარჩენა, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ. ტანკები ჩვენ არ გვჭირდება, ისინი უნდა გაიტანონ, ადამიანებს კი შეუძლიათ დარჩნენ.

Le Monde.fr

**მარი ჟეგო,**
**საფრანგეთი.**

*17 ოქტომბერს, საღამოს, ევროპის საბჭომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, მიიღო ძალზე მკაცრი რეზოლუცია, რომელიც გმობს საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას. ევროკავშირმა მოუწოდა მოსკოვს, შეწყვიტოს ქართველების შევიწროება რუსეთის ტერიტორიაზე და გამოთქვა დიდი გულისტკივილი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ შემოღებული ბლოკადის გამო. ევროკავშირმა ასევე გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და ჰუმანიტარული ღონისძიებების შედეგების გამო, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ“, და მოსთხოვა მოსკოვს, არ მიმართოს რუსეთში ქართველების წინააღმდეგ გამიზნულ მოქმედებებს.*

# ევროკავშირი საქართველოს გამოესარჩლა

ეს რეზოლუცია გახდა ევროკავშირის სახელმწიფოების ორ ჯგუფს შორის დისკუსიის შედეგი. ბალტიის, სკანდინავიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნები მოითხოვდნენ მოსკოვის მიმართ მკაცრი პოზიციის დაკავებას, მაშინ როცა დასავლეთ ევროპა რუსეთთან ურთიერთობაში მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდებდა დანარჩენ ქვეყნებს. „ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ბალანსი, არ უნდა დავგმოთ მხოლოდ ერთი მხარე“, — განაცხადა ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან ასელზორნმა.

„სიგნალი ძალზე მკაფიოა, რუსეთმა და საქართველომ უნდა მოაწესრიგონ სიტუაცია“, — აღნიშნა „ფრანს პრესის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა სა-




გარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში ხავიერ სოლანამ. როგორც მან თქვა, ევროპის გაერთიანება მზად არის, მხარეებს გაუწიოს შეძლებისდაგვარი დახმარება ამ საკითხში. მაგრამ „ბალანსის შენარჩუნებისათვის“ სწრაფვამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში. ყოველ შემთხვევაში, მოწოდება საქართველოს ხელმძღვანელობისადმი, რომ „შეიკავოს თავი ნებისმიერი ისეთი აქციისგან, რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს დაძაბულობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში“, მხოლოდ პრესისთვის გაკეთებულ კომენტარად დარჩა, რომელიც გაახმოვანა ევროკომისარმა საგარეო კავშირურთიერთობისა და ევროპის კეთილმეზობლური პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა. „ორივე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა და, ჩვენი აზრით, ასეთი გზით უნდა აღმოიფხვრას აგრესიული რიტორიკა სახელმწიფოთა დონეზე“, — განუცხადა ქალბატონმა ფერერო-ვალდნერმა ჟურნალისტებს.

მოსკოვში ელოდნენ, რომ ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებული დოკუმენტი იქნებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1716-ე რეზოლუციის მსგავსი, რომელიც 13 ოქტომბერს მოიწონეს. ეს მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ევროკავშირმა მოუწოდა თბილისს და მოსკოვს დაიცვან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ გაეროს რეზოლუციები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, როგორც ეს არის დაფიქსირებული გაეროს უშიშროების საბჭოს 1716-ე რეზოლუციაში და შეიკავა თავი თბილისის მისამართით რაიმე საყვედურების გამოთქმისგან.

ეს არცთუ ისე სასიამოვნო ფონს უქმნის რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც აპირებს გამართოს ინტენსიური მოლაპარაკება ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან ფინეთის ქალაქ ლაჰტიში 20 ოქტომბრისთვის დანიშნული სამიტის დროს. ვლადიმერ პუტინმა კარგა ხანია მიიღო მიწვევა ფინეთის — ევროკავშირში ამჟამად თავმჯდომარე-ქვეყნის ხელმძღვანელობისგან, რომლებიც სთხოვდნენ მას ევროპის ქვეყნების ლიდერების არაფორმალურ შეხვედრში მონაწილეობას. ალბათ, ამ მიწვევის მიღებისას კრემლში ვერც კი იფიქრებდნენ, რომ სამიტს ასეთი „პრეამბულა“ ექნებოდა.

არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის მიმართ ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება განპირობებული იყოს ლონდონის ჩეტემ-ჰაუსის პოლიტიკურ ინსტიტუტში ევროკომისიის მეთაურის ჟოზე მანუელ ბაროზუს ძალზე რადიკალური გამოსვლით. მან მოუწოდა ევროკავშირის ლიდერებს, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დაიკავონ მკაცრი პოზიცია როგორც საქართველოს წინააღმდეგ დაწესებულ ბლოკადასთან, ისე ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, აგრეთვე, იმის გამო, რომ რუსეთს არ სურს ევროპის ენერგეტიკული ქარტიის რატიფიკაცია. ბატონმა ბაროზუმ განაცხადა, რომ ევროკავშირი რუსეთის მიმართ თუ იმოქმედებს „მკაფიოდ და თანამიმდევრლად“, ამით იგი დაანახებს კრემლს, რომ სურს მასთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება და მაშინ ეს სიგნალი უფრო მეტ ნდობას ჰპოვებს რუსეთის მხრიდანაც.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

**არკადი დუბნოვი,**
**18 ოქტომბერი.**

# რაისი მოსკოვში საქართველოზე სალაპარაკოდ ჩამოვა

**აშშ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მოსკოვში განიხილავს საქართველოს თემას. სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურის ჩამოსვლას რუსეთის დედაქალაქში შაბათისთვის ელიან.**

რაისის ჩამოსვლის წინ კი, მისმა თანაშემწემ ევრაზიის საკითხებში განაცხადა: „დაუშვებელია, აპრიორი არალეგიტიმური ვუწოდოთ აფხაზეთის, სამხეთ ოსეთის, ან კიდევ რომელიმე სხვა ტერიტორიის სწრაფვას თვითგამორკვევისკენ“ ისევე როგორც პირიქით, თითქოს ეს „ლეგიტიმური სწრაფვა“ იყოს.

ორიოდე თვის შემდეგ ჟენევაში გაიმართება „საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა“ ჯგუფის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღებენ საქართველოსა და აფხაზეთის დელეგაციები. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ეცდებიან იმ წინადადებათა „ჰარმონიზებას“, რომლებიც გასული წლის ზაფხულში გამოთქვეს თბილისმა და სოხუმმა. და, ამერიკელთა აზრით, თუ ამ წინადადებებში „არცთუ ისე დიდი განსხვავებაა“, სინამდვილეში სულ სხვა სურათს ვხედავთ: აფხაზებსა და ქართველებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა გაუცხოების უფსკრული.

ქართველებმა იკისრეს ვალდებულება, რომ არ გამოიყენებენ ძალას, მაგრამ თვითაღიარებული რესპუბლიკის საზღვრებთან კვლავ უყრიან თავს პოლიციის და არმიის ნაწილებს. აფხაზეთი, თავის მხრივ, ვერ იძლევა უშიშროების გარანტიებს ქართველების და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისთვის.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბაუჩამ ხაზი, რომ შეერთებულ შტატებს მხარს უჭერს „კონფლიქტური პოლიტიკური მოწესრიგების ევროპულ წინადადებათა“ „ქართული სამშვიდობო გეგმის“ საფუძველზე“.



სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიერ ამ ბოლო ხანებში გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკელებს არ სურთ რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება საქართველოს ტერიტორიაზე მოუგვარებელი კონფლიქტების გამო. სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ კიდევ ერთხელ აღნიშა, რომ საქართველოში არსებული „გაყინული კონფლიქტები“ არ შეიძლება გადაიჭრას სამხედრო გზით.

**ვიაჩესლავ ოსიპოვი,**
**რადიოსადგური „მაიაკი“.**

დეტალი

# АИФ-ის უკბილო ხუმრობა

მ. სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი: „როცა ჩვენ გზების მშენებლობა დავიწყეთ, გვითხრეს, რომ საუკეთესო სპეციალისტები რუსეთში წავიდნენ. როცა მეტროს აღდგენა-განახლება დავიწყეთ, გვითხრეს, რომ ყველა ქართველი მეტრომშენებელი რუსეთშია. დაბრუნდით სამშობლოში, ახლა ჩვენ აფხაზეთში დასაბრუნებლად ვემზადებით“...



**АИФ-ის მინაწერი: როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთში ჩასვლას მეტროს მატარებლით აპირებს, ან მეტროს ჯავშნიანი მატარებლით...**

EPA-ს ფოტო.

◉ ვითარება

# თხუთმეტწლიანი თვალთმაქცობის შედეგი

## ვაშინგტონი მოსკოვს სტრატეგიულ პარტნიორად და საიმედო მეგობრად არ მიიჩნევს

**ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოცხადებულ რუსეთ-ამერიკის „პარტნიორულ“ ურთიერთობას ბოლო დროს „წყალი შეუდგა“, მიაჩნიათ როგორც თავად რუსეთის, ასევე დასავლეთის ავტორიტეტულ ანალიტიკოსებს.**

ახლახანს რუსეთელმა ექსპერტებმა, კერძოდ, სკკპ-ს ცკ-ის ყოფილმა მდივანმა **ვალენტინ ფალინმა** და საგარეო დაზვერვის სამსახურის გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა **გენადი ევსტაფიევმა** სახელმწიფო დუმისთვის მომზადებულ მოხსენებაში აღნიშნეს, რომ **ამჟამად პენტაგონის ბიუჯეტი „იმდენივეა, რამდენსაც მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები თავდაცვაზე ხარჯავენ“.** გარდა ამისა, დოკუმენტში, რომელსაც „2006-2008 წლებში რუსეთის მიმართ აშშ-ის მოქმედების სავარაუდო სცენარის შესახებ“ ეწოდება, ავტორები აცხადებენ, რომ ვაშინგტონი კარგა ხანია „განიარაღების სფეროში ვალდებულებათა“ შეკვეცის მიზანმიმართულ პოლიტიკას ატარებს.

რუსეთელ ექსპერტთა დასკვნები გარკვეულწილად ემთხვევა რუსეთის ამერიკელი სპეციალისტის **სტეფან კოენის** შეფასებებს. იგი ამტკიცებს, რომ **„საზოგადოებაში გავრცელებული აზრისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოებისთვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს კვლავაც რუსეთი წარმოადგენს“.** პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ თეთრი სახლი, მისი ადმინისტრაციის პოლიტიკური კუთვნილებისდა მიუხედავად, ბოლო 15 წლის მანძილზე რუსეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ცივ ომს აწარმოებს.

### საგანგაშო წინასწარმეტყველებები

სტეფან კოენის აზრით, რუსეთის ფედერაციის ყველა მიღწევა, რომლის შესახებ ასე „ხმამაღლა აცხადებენ ქვეყნის მთავრობა და დასავლური საინვესტიციო ფონდების „სარეკლამო აგენტები“, ძირითადად დაკავშირებულია ნავთობსა და გაზზე მაღალი მსოფლიო ფასებით და შთამბეჭდავია მხოლოდ 1998 წლის კრიზისის ფონზე“. მაგრამ, საქმე ისაა, რომ **სადღეისოდ, რუსეთელთა დაახლოებით ორი მესამედი სილატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ამ კატეგორიაში შედის მრავალი უმაღლესი განათლების მქონე, კვალიფიციური სპეციალისტი, მათ შორის სამხედროც.** რუს ექსპერტთა მონაცემებზე დაყრდნობით, პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის თანდათანობით ღრმავდება, ვითარება კი „ფეთქებად საშიში“ ხდება. გარდა ამისა, რუსეთის საზოგადოებაში ნეგატიურ რეაქციას იწვევს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები, ხოლო ხალხის განწყობას ამ საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების საძირკველში „საათის მექანიზმიან ნაღმს“ უწოდებენ.



ასეთივე არასტაბილობას სტეფან კოენი ხედავს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებშიც, რომლებიც აშკარად განიცდის ფინანსურ უკმარისობას და მასობრივი უკმაყოფილებითაა შეპყრობილი. სწორედ ამიტომაა, რომ სერიოზული ანალიტიკოსები საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ **ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრი დაცემის შემთხვევაში ეთნიკური ძალადობის ანდა ტერორის მსხვილი აქტების განხორციელებისა და რუსეთის პოლიტიკური ხაზის შეცვლის შედეგად შეიძლება განვითარდეს სასტიკი კრიზისი.**

ვიდრე რუსეთის ფედერაციაში **„ნარჩუნდება მოვლენათა კატასტროფული სცენარით განვითარების შესაძლებლობა, ასევე ნარჩუნდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობისთვის უპრეცედენტო საშიშროების ალბათობაც.“** წამყვან ექსპერტებს არა აქვთ ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ „რა წარმოადგენს უფრო დიდ საფრთხეს: იმის ალბათობა, რომ რუსეთში ამჟამად არსებული ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური მასალის უზარმაზარი მარაგი აღმოჩნდება არასანდო ხალხის ხელში; ბირთვული რეაქტორების ცუდი მოვლით გამოწვეული ავარია თუ დანგრეული ზესახელმწიფოს ტერიტორიაზე ისტორიაში პირველი სამოქალაქო ომი – ჩეჩნეთის კონფლიქტი, რომელსაც ტერორისტული აქტები ახლავს“.

„ცხადია, რომ აღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობა გაცილებით დიდ და – მუდმივ! – საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე ნებისმიერი საფრთხე, რომელსაც აშშ აწყდებოდა საბჭოთა დროს“, – ასკვნის ექსპერტი.

ამასთან, **პოლიტოლოგები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე ქვეყნებში დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ცხოვრობს და იქ უმრავი პოლიტიკურად თუ რელიგიურად დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფი მოქმედებს. ამდენად, რუსეთის ფედერაციაში შექმნილი ნებისმიერი არასტაბილური ვითარება, ადვილად შეიძლება გადაედოს მის მოსაზღვრე მთელ რეგიონს, რომელიც უმნიშვნელოვანესია მთელ პლანეტაზე, და, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლებად მშვიდი.**

### ამერიკა-რუსეთი: ურთიერთობების რემილიტარიზაცია?

ამერიკელი ექსპერტის აზრით, თეთრი სახლის მოქმედება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მიმართული რუსეთში მყოფი სტაბილურობის დამსხვრევაზე და შემდგომ ერთობ მოულოდნელად ასკვნის, რომ ვაშინგტონმა მოსკოვი უნდა აიძულოს **„არ შეამციროს, არამედ თვალისჩინივით გაუფრთხილდეს შეიარაღების საკუთარ ზესახელმწიფოებრივ არსენალს“. ამერიკამ კრემლის პროვოცირება არ უნდა მოახდინოს უარი თქვას დასავლეთთან თანამშრომლობაზე, არამედ პირიქით, დააინტერესოს იგი იმ საკითხების გადაჭრაზე ერთობლივი მუშაობით, რომელთა გადაწყვეტაში აშშ რუსეთზე არანაკლებადაა დაინტერესებული.**

***მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რამდენიმე მოსაზრება უშუალოდ ეხება საქართველოს (კერძოდ, რუსეთის მეზობლობა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ამერიკა-რუსეთის ერთობლივი დაინტერესება სადაო საკითხების გადაწყვეტაში და სხვ.ძ და, ამდენად, მათ სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ყოველივე, უწინარესად, ეხება გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციას საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების ზონაში ახალი დაძაბულობის განახლებასთან დაკავშირებით, რომელმაც საქართველოში, რუსეთში, აფხაზებსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში აშკარად სხვადასხვა რეაქცია გამოიწვია: ყველას მიაჩნია, რომ იგი, ასე ვთქვათ, „მისი ინტერესების გამომხატველი უფროა, ვიდრე სხვისი“. თუ როგორია სინამდვილეში აღნიშნული რეზოლუციის ქვეტექსტი და „ვის მხარესაა გადახრილი პინი, რომელზეც ის დევს“, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ უშიშროების საბჭომ რეზოლუციის ტექსტი რუსეთის მიერ წარმოდგენილი რედაქციით მიიღო, ფაქტობრივად, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე. ცნობილია, რომ მსგავსი დოკუმენტები, პრაქტიკულად, დიპლომატიურ კულუარებში თანხმდება, ამდენად, ვფიქრობთ, სავსებით ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ამერიკა-რუსეთის ტანდემის „შეუხმატკბილებლობის“ გარეშე, ძნელი წარმოსადგენია.***

სტეფან კოუნი აღნიშნავს, რომ სადღეისოდ არსებობს თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკური კურსის ორი ძირითადი ელემენტი: **პირველია აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ბაზებით რუსეთის გარშემორტყმა ანდა მათი განთავსება მეზობელ რეგიონებში, ხოლო მეორე – რუსეთის საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მისი კანონიერი ეროვნული ინტერესების იგნორირება.**

*ვფიქრობთ, რომ ესეც მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, რომელსაც ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს.*

პენტაგონმა და ნატომ უკვე განათავსა ან აპირებს თავისი სამხედრო ბაზების განთავსებას **„ყოფილი სსრ კავშირის 14-დან შვიდ რესპუბლიკაში, დაწყებული ბალტიისპირეთიდან და უკრაინიდან საქართველომდე, აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში“. „ამდენად, აშშ-ს ხელით იქმნება „ახალი რკინის ფარდა“, რის შედეგია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის რემილიტარიზაცია“, –** ასკვნის პოლიტოლოგი.

რუსეთის პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ბახუსი – მუზა

# დიდი ალკოჰოლიკები



**ჰენრი მილერი**
(1891-1980ძ
დიდი ამერიკელი მწერალი. XX საუკუნის 50-იან წლებში თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, მუშაობდა კონდუქტორად, მენაგვედ, დაზღვევის აგენტად, ჟურნალისტად, მხატვარ-აკვარელისტად. მთელი ეს დრო ბევრს სვამდა, ბოზობდა და ბილწსიტყვაობდა. სპირტიანი სასმელებიდან ღვინოს ამჯობინებდა. არადა, 89 წლამდე მაინც იცოცხლა!



**ერნსტ ჰემინგუეი**
(1899-1961ძ
მწერალი, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი. სამუშაოს არ მიუჯდებოდა ჭიქა კოქტეილის „დაიკირის“ გადაუკრავად, რომელიც რომ „ბაკარდიზე“ იყო დაყენებული. ერნსტმა შორს გაუთქვა სახელი ამ ორ სასმელს, რომლებმაც საბოლოოდ დაღუპეს კიდევაც. 1961 წელს, საავადმყოფოდან გამოსულმა, სადაც „დეპრესიის“ დიაგნოზით იწვა, სანადირო თოფით მოიკლა თავი.



**დენის დავიდოვი**
(1784-1839ძ
გენერალი, არმიული პარტიზანული მოძრაობის დამფუძნებელი, 1812 წლის ომის გმირი. პუშკინი „მამაც დენისს“ უწოდებდა. როგორც ჰუსარს „შეეფერება“, სვამდა პუნშს, გროგს, არაყს, ღვინოსა და ყველა ალკოჰოლურ სასმელს (თუ დარჩა რამე!ძ, რაც კი ხელს მოხვდებოდა.



**უინსტონ ჩერჩილი**
(1874-1965ძ
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ორატორი, მწერალი, მხატვარი. მისი სურათები გამოფენილი ყო სამეფო აკადემიაში, 1953 წელს კი ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურაში. მთელი სიცოცხლე ძალიან უყვარდა სმა. ამბობდა, რომ „ალკოჰოლი-ანესთეზიაა“, რომელიც „ცხოვრებად“ წოდებული ოპერაციის გადატანაში გვეხმარება“. ამ მსმელმაც კაი 91 წელი გაწელა...



**ედგარ ალან პო**
(1809-1949ძ
მწერალი. სულ აგებდა ბანქოში და რომს ჭიქობით სვამდა. ედგარ პომ მხოლოდ 40 წელი იცოცხლა და, უწინარესად, ალკოჰოლისგან გარდაიცვალა.

◉ მოკლედ

**ჩერნოგორია, შესაძლოა, უკვე 2007 წლის დამდეგს შევიდეს ევროპის საბჭოს შემადგენლობაში. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენმა განაცხადა, რომ ევროპის საბჭოში ჩერნოგორიის შესვლის საკითხს განიხილავენ ასამბლეის იანვრის სესიაზე. თვით ჩერნოგორიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ასევე დაადგა სხვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზას.**

* * *

**ფინეთის პრემიერ-მინისტრს მატი ვანჰანენს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მომავალ სამიტზე პუტინს პირდაპირ განუცხადონ: ევროპა სერიოზულად ეკიდება რუსეთთან თანასწორუფლებიან ენერგეტიკულ პარტნიორობას და მოითხოვს ევროპის იმ ენერგეტიკული კომპანიების მიმართ სამართლიან დამოკიდებულებას, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე მუშაობენ.**

* * *

**ამერიკელთა 84 პროცენტი დარწმუნებულია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა საფრთხეს უქმნის შეერთებულ შტატებს. ამასთან 40 პროცენტი მზად არის დაუჭიროს მხარი ფხენიანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას. იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც ჩრდილოეთ კორეას მტრულად განწყობილ ქვეყნად მიიჩნევენ, მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ფხენიანმა განახორციელა ბირთვული იარაღების გამოცდა. გარდა ამისა, ამერიკელთა 70 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ომი ერაყში ნეგატიურ გავლენას მოახდენს ჩრდილოეთ კორეის წინააღდეგ შეერთებული შტატების ეფექტიან მოქმედებაზე.**

* * *

**ჰოლანდიელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაასახელეს ქვეყნიერების აღსასრულის ზუსტი თარიღი. ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტის უნივერსიტეტის სპეციალისტთა მტკიცებით, აპოკალიფსი მოხდება ზუსტად 2 მილიონ 225 ათასი წლის შემდეგ – 2.252.206 წლის 31 ოქტომბერს. დაიწყება ახალი გამყინვარების პერიოდი და ჩვენც – დედამიწის მცხოვრებლები – დინოზავრების ბედს გავიზიარებთ.**

* * *

**ავღანეთში ბრიტანეთის კონტინგენტის სარდალს მიაჩნია, რომ უცხო ქვეყნების ჯარები ავღანეთში კიდევ 20 წელს შეიძლება დარჩნენ. გენერალ ედ ბატლერის აზრით, ექსტრემისტული მოძრაობის „თალიბანის“ ქვეგანაყოფებმა ავღანეთში იწვნიეს „ტაქტიკური მარცხი“, მაგრამ საერთაშორისო ძალების შეიარაღებული ბრძოლა ავღანელი მეამბოხეების წინააღმდეგ ჯერ კიდევ შორს დგას დასრულებისგან. ამ ქვეყნის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად უჭერს მხარს თალიბთა მოძრაობას.**

გასტროლების შემდეგ

# შალიკაშვილი უხმოდ რომ უბნობს, იმიტომ არ გესმის, ხელისუფალო?!.

*საქართველოს პანტომიმის ეროვნულმა თეატრმა, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, ახალი ძალითა და სპექტაკლებით განაახლა მუშაობა და ხელოვნების ჭეშმარიტ მოყვარულთ ამ სეზონზე მრავალ სასიამოვნო საღამოს ჰპირდება. თბილისელ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა იხილოს ის სპექტაკლიც, რომელმაც სულ ახლახან ესპანეთში, „ზღვისპირეთის საერთაშორისო ფესტივალზე“ პირველი ადგილი მოიპოვა. „კრიმანჭულით“ მოხიბლულ ესპანელებზე, ცოცხალი ქანდაკებების შოუზე, თავის ცხოვრებასა და კურიოზებზე მისმა მთავარმა „პერსონაჟმა“, პანტომიმის თეატრის მამამ – ამირან შალიკაშვილმა მოგვითხრო.*

## ესპანური ვოიაჟის დღიური

შემოდგომის ესპანეთი, ქ. ალკანტე, 30 გრადუსი სიცხე, 2 კმ-იანი სანაპირო, რომელმაც დასასვენებლად ჩასულ ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას მეტად თვალწარმტაც ლონისძიებაზე მოუყარა თავი. „ზღვისპირეთის საერთაშორისო ფესტივალი“ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულ სტუმრებს ყოველწლიურად მასპინძლობს, თუმცა მას არა თეატრალური, არამედ საზაფხულო



ფესტივალის დატვირთვა აქვს. საქართველო ესპანეთში ჩვენი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერში გამარჯვებულმა პანტომიმის თეატრის 10-კაციანმა შემადგენლობამ წარადგინა, პანტომიმისა და პლასტიკის უბადლო ოსტატის – ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ესპანეთში „კრიმანჭული“ და პანტომიმური ნოველები ჩაიტანეს. ქართველი ახალგაზრდების ნიჭითა და ტალანტით მოხიბლულმა ესპანელებმა დასს საშემფო კონცერტის ჩატარებაც სთხოვეს.

– მოხუცებულთა თავშესაფარში გამოვედით. მიხარია, თუ ყოველდღიურობა ცოტათი მაინც გავულამაზეთ. ჩვენც ბევრი სასიამოვნო მოგონება შემოგვრჩა. ახლაც მეღიმება, როცა მახსენდება, 80 წლის ქალბატონს როგორ შევუყვარდი.

* * *

– ერთ დღესაც მეტად საინტერესო შეხვედრა გვქონდა ადგილობრივ კაფეში, სადაც ჩვენთან ერთად ლათინური ამერიკის საცეკვაო ანსამბლიც იმყოფებოდა. ერთგვარი „ხელოვანთა პაექრობა“ ჯერ თეატრის მსახიობმა – ლუკა ჩხაიძემ მიიღო, ხოლო შემდეგ ჩემმა შვილმა – ამირან შალიკაშვილმა (უმცროსმაძ უპასუხა 12-წუთიანი ჯანგლით. პუბლიკა იმდენად აღფრთოვანდა, გამოსვლამ ისეთი ოვაციები გამოიწვია, რომ ბარის მფლობელმა დაწესებულების ხარჯზე გვიმასპინძლა და ქათინაურები არ დაიშურა.

* * *

– სანაპიროზე, 2 კმ-ის მანძილზე ყოველ საღამოს იმართებოდა გამოსვლები, უამრავი მაყურებელი იკრიბებოდა. გადავწყვიტე მსახიობებისთვის თავისუფალი ასპარეზი და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება მიმეცა. სანაპირო ზოლზე ამირან შალიკაშვილმა (უმცროსმაძ ცოცხალი ქანდაკების შოუ წარადგინა. სწორედ ეს იყო რეალური თეატრი. ამ ინოვაციამ საზოგადოება გულგრილი არ დატოვა – გაოცებული ხალხი სურათებს იღებდა საოცარ ქანდაკებასთან.

ჩემი აზრით, ეს თეატრი ხვალინდელი დღის კი არა, ზეგინდელი დღისაა. ერთხელ ხელოვნებათმცოდნე ნოდარ გურაბანიძემ მითხრა: „შენ XXI საუკუნის კაცი ხარ, ეს ახალგაზრდები კი თავისი ნიჭით ერთი ნაბიჯით წინ მიდიან და, იმედია, მომავალში ბევრ წარმატებას მიაღწევენ“.

## მომავალი შენია

– ესპანეთში ყოფნისას ორი იმპრესარიოსგან მივიღეთ შემოთავაზება მომავალ წელს ბარსელონაში თეატრის გასტროლების ჩატარებაზე. გარდა ამისა, ჩემი შვილიც მიჰყავთ ესპანეთში. ამ ფესტივალით ჩვენ გავხსენით ახალი ევროპული გზა. ჩემი მოსწავლეები ამჟამადაც წარმატებით მოღვაწეობენ ამერიკაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. საქართველოს პანტომიმის თეატრი მსოფლიოში ერთადერთია. არსებობს ფრანგული პანტომიმა – მარსელ მარსოს შემეცნებით, მაგრამ ეს ახალი აზროვნებაა, რომელიც ჩვენმა საგვარეულომ მოიტანა. ახლაც ამ გზას შვილებთან ერთად ვაგრძელებთ. ორი მათგანი თეატრში მოღვაწეობს – ერთი მსახიობია, ხოლო მეორე რეჟისორი – დავით შალიკაშვილი. ამჟამად ის ახალ სპექტაკლზე მუშაობს – ე. ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, რომელშიც მთავარი როლი შემომთავაზა.

## გულისტკივილი

– კიდევ ბევრ საქმეს გავაკეთებდით, სხვადასხვა ქვეყნებში გავიტანდით ჩვენს შემოქმედებას,



თუმცა პრობლემა ისევ და ისევ სამგზავრო თანხის შოვნაა. ამჯერად კულტურის სამინისტრომ გამოგვიყო 10000 ლარი, მაგრამ საიდუმლო არც ისაა, რომ გარკვეულ ვალებში „ჩავარდნაც“ კი მომიხდა „ესპანური ოცნების“ ხორცშესასხმელად. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, გამგზავრებამდე ქალაქის მერიაში მივედი და ხელფასის აღება დავაპირე (2 ოქტომბერს მეკუთვნოდა და ორიოდე დღით ადრე ვთხოვე გამოწერაძ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად... უარით გამომისტუმრეს. თუმცა, „ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა“. კომუნისტური წყობა უნდა დამთავრდეს, დამთავრდეს ადამიანთა აზროვნებაში, ქცევასა და მენტალიტეტში. მაშინ იქნება შესაძლებელი ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შენება. ხელფასს ვინლა ჩივის, თეატრის შენობა სავალალო დღეშია, დღენიადაგ წყალი ჩამოდის. თითქმის ყველა თეატრი გარემონტდა, მხოლოდ ჩვენსას არ დაადგა საშველი. პრეზიდენტმა დახმარება აღგვითქვა და 290000 ლარი გამოგვიყო, აქედან 100000 ლარი სარემონტო და 50 000 ლარი სამივლინებო ხარჯებისთვის, რომელიც მერიამ „ჩამოჭრა“ განუსაზღვრელი დროით. დარჩენილი თანხით თეატრის მსახიობებს ხელფასი დავურიგეთ. დღესდღეობით უსახსროდ ვართ დარჩენილი, არადა, რამდენი რამის გაკეთება შეგვეძლო. ამ დროში გასტროლებით სომხეთს, ბელორუსიას და სხვა ქვეყნებს მოვივლიდით. ეს ხომ ქვეყნის სახე, სახელი და ღირსებაა. თუმცა, რაზეა ლაპარაკი, როცა უკვე 2 წელია გაურკვეველი მიზეზებით „ჩამოჭრილი“ ფულის დაბრუნება ვერ მოვახერხეთ, ახლა პროცენტებით უნდა დაგვიბრუნონ. თეატრს სპონსორი არ ჰყავს და მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს დახმარების მოლოდინშია. პანტომიმის თეატრი ჩემი მეცადინეობით გაიხსნა და ადრე შემეძლო მისი მესაკუთრეც გავმხდარიყავი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი, მინდოდა საქართველოს კულტურული ძეგლი ყოფილიყო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა თეატრი ასე მიუხედავი და უმწეოა. სულ ახლახან ყურმოკვრით გავიგე, თითქოს ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა ამ საქმით. ღმერთმა ქნას, მართალი აღმოჩნდეს, იქნებ გვეშველოს რამე.

## მწერალი და პოეტი

ამირან შალიკაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრიცაა – მოთხრობების წიგნისა და ლექსების 2 კრებულის ავტორია. 2005 წელს გამოსული „ცრემლიანი შემოდგომა“ ხელოვანის მძაფრსიუჟეტიანი მემუარული ნაწარმოებია, რომელიც მის ცხოვრებასა და პანტომიმის ისტორიას აღწერს.

მალე დღის სინათლეს იხილავს მეორე და მესამე წიგნიც, რომელიც წინამორბედის ერთგვარი გაგრძელება იქნება.

**ნინო ბერძნიშვილი**

**სურათებზე: ესპანეთიდან ჩამოტანილი პრიზი; სცენა სპექტაკლიდან „კრიმანჭული“.**

სიახლე

# „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელია ღვთისგან“

**დაფუძნდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. მისი საქმიანობა აფხაზეთის მოსახლეობაში სულიერებისა და კულტურის დონის ამაღლებას, მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთების აღდგენასა და განმტკიცებას დაუკავშირდება.**

ცენტრი საქართველოს საპატრიარქოს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიასთან ერთად იზრუნებს სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, აგრეთვე იზრუნებს სოციალურად დაუცველ ფენებზე, მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. პროპაგანდას გაუწევს კაცობრიობის სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს მოქალაქეთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემწყნარებლობის აღსადგენად.

თავისი მიზნების შესასრულებლად ცენტრი ითანამშრომლებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, საქართველოსა და აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან, მოაწყობს სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, სემინარებს, კონკურსებს, გამოფენებს... ბავშვებისა და მოზარდების მრავალმხრივი განვითარებისათვის შექმნის საგანმანათლებლო სტრუქტურებს.

ახლახან, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში გაიმართა ცენტრის წარდგინება. შეკრებილ საზოგადოებას ცენტრის მიზნებზე ესაუბრნენ მისი თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა და



ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი.

აი, რა ბრძანა მეუფე დანიელმა: „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის შექმნის იდეა ეკუთვნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II, იგი ხშირად ბრძანებს, რომ ბოლო საუკუნეში, კერძოდ XX საუკუნეში ადამიანთა არსებობაში თითქოს სულიერება და კულტურა ერთმანეთს გაემიჯნა, დასცილდა. როცა ეს ორი სფერო შერწყმული იყო და ავსებდა ერთმანეთს, მაშინ კაცობრიობა უფრო სრულყოფილი იყოო. ამ ცენტრის დაარსება სწორედ იმას ემსახურება რომ ჩვენი სულიერი ცხოვრება ადამიანის შემოქმედებასთან, ცხოვრებასთან კავშირში იყოს. დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება სულიერი გამარჯვება, საკუთარ თავზე ამაღლება, და თუ ამას შევძლებთ, მაშინ ჩვენ შევრიგდებით, ამიტომ ვილოცოთ აფხაზი ხალხის გულების განწმენდისათვისაც, რამეთუ „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელია ღვთისაგან“. მწამს, რომ ცენტრი ნათელ იდეებს, სიყვარულს გააღვიძებს ჩვენში, და სწორედ ეს სიყვარული გაგვამთლიანებს“.

ცენტრის დაარსებას მიესალმნენ საქართველოს სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, პოლიტოლოგი არმაზ ახვლედიანი.

წარდგინება ევროპის კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილმა საღამო-კონცერტმა დაამშვენა. იგი მიჰყავდა სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს გვანცა გიორგობიანს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეთამზემ“, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტებმა ირინე რატიანმა, სულხან გველესიანმა, ლევი იმედაშვილმა, სოფო გორდელაძემ, პიანისტმა თამარ ლიჩელმა, საფორტეპიანო ტრიომ მაია მამარდაშვილის, რუსუდან კიკნაძისა და მედეა ალთუნაშვილის შემადგენლობით. აგრეთვე, აფხაზეთის წარმომადგენლებმა, მომღერლებმა მარიკა გულორდავამ, თემურ ფარულავამ და კონცერტმაისტერმა თემურ ელიავამ. ჟღერდა მოცარტის, ბეთჰოვენის, ვერდის, გუნო-ლისტის, გლინკას, ო. თაქთაქიშვილისა და ვ. აზარაშვილის რჩეული ნაწარმოებები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

## ფეხბურთი

# გრანდთა ლაღადი



**გინდ დაიჯერეთ, გინდა არა – სეზონის სტარტზე განცდილი წარუმატებლობების შემდეგ უმუშევრობა თვით ფაბიო კაპელოსაც დაემუქრა. ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ „სამეფო კლუბის“ სათავეში დაბრუნებულ იტალიელ მაესტროს ჩემპიონთა ლიგაში „ლიონთან“ და პრიმერა-დივიზიონში „ხეტაფესთან“ დამარცხებების გამო აუმხედრდნენ „რეალის“ ინჩასები. არადა, აპენინელი სპეციალისტი ხომ სულ რამდენიმე თვეა ახალი გუნდის შენებას შეუდგა?**

იმათ დასადუმებლად, ვინც წარმატებებს ოპერატიულად მოითხოვს, აუცილებელი გახდა ბუქარესტში „სტიაუას“ დაჩოქება, მით უმეტეს, ესპანელებს ამას **„ე“ ჯგუფის** სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობაც აიძულებდა. ფავორიტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შელახული პრესტიჟის აღსადგენად ყველაფერი გაიღო და რუმინელებს კლასიკური ფეხბურთის დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარა – 4:1. აღსანიშნავია, რომ ბექჰემმა ჩემპიონთა ლიგაში მე-100-დ იბურთავა, ვან ნისტელროიმ კი 50-ე გოლი გაიტანა.

გრძელდება „ლიონის“ ძლევამოსილი მარში, რომლის შეჩერება ვერც კიევის „დინამომ“ შეძლო. პირიქით, ფრანგებმა უკრაინის დედაქალაქშიც ისევე გაილაღეს, როგორც დანარჩენ მეტოქეებთან – 3:0 და პირველი წრის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში. რაც შეეხება ანატოლი დემიანენკოს გუნდს, მას ელიტურ საზოგადოებაში ასეთი კატასტროფული სტარტი ჯერ არ აუღია.

***„ლიონი“ – 9, „რეალი“ – 6, „სტიაუა“ – 3, კიევის „დინამო“ – 0 ქულა.***

**1 ნოემბერს ითამაშებენ: *„რეალი“ -„სტიაუა“, „ლიონი“-„დინამო“.***

**„ვ“ ჯგუფში** განვითარებულ მოვლენებს თამამად შეიძლება ბრიტანელთა ტრიუმფი ეწოდოს. თავად განსაჯეთ – „მანჩესტერმაც“ და „სელტიკმაც“ საკუთარ მოედნებზე, შესაბამისად, „კოპენჰაგენსა“ და ერთ დროს მრისხანე „ბენფიკას“ სამ-სამჯერ განაახლებინეს თამაში ცენტრიდან და ცალი ფეხით უკვე მერვედფინალში შეაბიჯეს.

***„მანჩესტერი“ – 9, „სელტიკი“ – 6, „ბენფიკა“, „კოპენჰაგენი“ – 1-1 ქულა.***

**1 ნოემბერს ითამაშებენ: *„ბენფიკა“-„სელტიკი“, „კოპენჰაგენი“-„მანჩესტერი“.***

**„ზ“ ჯგუფის** აღმოჩენად იქცა უეფას თასის მფლობელი მოსკოვის ცსკა, რომელმაც ესპანელი მსაჯის გონსალესის ხელშეწყობით (მან ანრის გოლი გაურკვეველი მიზეზის გამო არ ჩათვალა) კიდევ ერთ გრანდს – ლონდონის „არსენალს“ დააყრევინა ფარ-ხმალი – 1:0. დავძენთ, რომ აკინფეევს კვლავაც საიმედოდ აქვს ჩარაზული საკუთარი კარი.

კიეველთა მსგავსად, უთავმოყვარეოდ ასპარეზობს ერთობ ამბიციური „ჰამბურგი“, რომელიც ამჯერად „პორტუსთან“ გაცამტვერდა – 1:4.

***ცსკა – 7, „არსენალი“ – 6, „პორტუ“ – 4, „ჰამბურგი“ – 0 ქულა.***

**1 ნოემბერს ითამაშებენ: *„არსენალი“-ცსკა, „ჰამბურგი“-„პორტუ“.***

როგორც იქნა, გატეხა ნავსი „მილანმა“ და პირველად 1989 წლის შემდეგ, ბელგიაში „ანდერლეხტს“ ათი მოთამაშით (მინდვრიდან ბონერა გააძევესძ სძლია – 1:0.: აკინფეევისა არ იყოს, დიდაც წარმატებით განაგრძობს მშრალ სერიას – მასაც ჯერ გოლი არ გაუშვია. ამავე **„თ“ ჯგუფს** „ლილის“ სახით კიდევ ერთი „ყოჩი“ გამოუჩნდა – ფრანგებმა შინ აეკ-ს მოუგეს – 3:1.

***„მილანი“ – 7, „ლილი“ – 5, „ანდერლეხტი“ – 2, აეკი – 1 ქულა.***

**1 ნოემბერს ითამაშებენ: *„მილანი“-„ანდერლეხტი“, აეკ-ი-„ლილი“.***





## ორბიტაზე

### აბა, ვის უნდა მილიონი?

**სწორედ რომ მილიონ დოლარს მიიღებს 2007 წელს ფეხბურთში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი. რაც ყველაზე დიდი თანხაა ქალთა ფეხბურთის ისტორიაში. ეს ტურნირი კი მომავალ წელს 10-დან 30 სექტემბრამდე გაიმართება. ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია მასზე 6 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს.**

მეორე ფინალისტი 800 ათას დოლარს მიიღებს, „ბრინჯაოს“ მფლობელი – 650 ათასს. მეოთხე ადგილზე გასული გუნდი 550 ათას დოლარით გამდიდრდება. ნაკრებები კი, ვინც შეჯიბრებას მეოთხედფინალებიდან გამოეთიშე-



ბიან, 350-350 ათას დოლარს მიიღებენ.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 16 საუკეთესო ნაკრები. მათი კენჭისყრა 2007 წლის მარტში გაიმართება ქალაქ უხანში.

### ოლიმპიური თამაშები — ორი დღით ადრე



**ასე გადაწყვიტეს პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა 8 აგვისტოს ნაცვლად, როდესაც დაგეგმილია ოლიმპიური თამაშების ოფიციალური გახსნა, ფეხბურთში ჯგუფური ტურნირის მატჩები დაიწყება 6 აგვისტოს.** ხოლო 9 აგვისტოს, ოლიმპიადის პირველი შეჯიბრებების დღეს, გაიმართება ასპარეზობები სპორტის 20 სახეობაში.

### ჩაშინა — ჟურნალისტი

**ცხრა თვით გამოეთიშება აქტიურ სპორტულ საქმიანობას 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მხატვრულ ტანვარჯიშში მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ირინა ჩაშინა – ის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სპეციალურ განყოფილებაზე შევიდა, სადაც კურსის პროგრამის დაუფლებისათვის 9 თვეა საჭირო.**

სპეცგანყოფილების პროგრამაშია პროფესიული გადამზადება, საქმიანი ჟურნალისტიკა. სწავლება 1 ოქტომბრიდან 30 ივნისამდე გასტანს. ის 75 ათასი რუბლი ჯდება. იქ შესასვლელად აუცილებელი არ არის ჟურნალისტი იყო.



## შესარჩევი ტურნირი

# ჯავრი მაკედონიელებზე იყარეს



**ერთი მოგება, ორი წაგება, მესამე ადგილი და ფინალურ ეტაპზე გასვლის ილუზიებისგან გათავისუფლება – ასეთია საქართველოს 17-წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების (მთავარი მწვრთნელი – ჰერბერტ ცანკერიძ მიერ თბილისისა და ბოლნისის სტადიონებზე გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში ნაჩვენები შედეგი.**

ერთადერთი გამარჯვება მასპინძლებმა გუშინ გათამაშების გამოკვეთილ აუტსაიდერთან – მაკედონიის გუნდთან მოიპოვეს – 5:0.

რაც შეეხება ელიტ-რაუნდში ნაადრევად გასულ გერმანელთა და რუსთა შეხვედრას, მის შედეგს მნიშვნელობა მხოლოდ სტატისტიკოსთათვის ჰქონდა, თუმცა მეტოქეებს ძალები არ დაუზოგავთ პირველობისთვის. მეტიც – ანდრეი ტალალაევის შეგირდებს ზომიერების გრძნობა ღალატობდათ, რასაც მინდვრიდან ჩრდილოელთა ორი მოთამაშის გაძევება მოჰყვა. რიცხობრივმა უმცირესობამ შესვენების შემდეგ იმოქმედა, როცა გერმანელთა მწვრთნელმა პაოლ შომანმა ბრძოლაში თავისი გუნდის ლიდერები – ბიგალკე და ვოლცი ჩააბა. სწორედ მათი ძალისხმევით მოაგროვეს ალემანებმა ქულათა მაქსიმუმი – 3:1.

გერმანია – 9, რუსეთი – 6, საქართველო – 3, მაკედონია – 0 ქულა.

## ძიუდო

# კობა კურტანიძის ხსოვნისა

**გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა სახელოვანი ქართველი ძიუდოისტის, მსოფლიო ჩემპიონის – კობა კურტანიძის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში მხოლოდ შიდაქართლელი ფალავნები მონაწილეობდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე ოთარ კაიდარაშვილი (50), იოსებ ძოძოშვილი (60), ზვიად ბაზანდარაშვილი (70), ჯუმბერ გიგაური (80), დავით ჭაბუკაშვილი (90) და გიორგი ღინტური (მძიმე წონა) გავიდნენ.**

შეჯიბრების ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა გორისა და გორის რაიონის სპორტის სამსახურის უფროსმა გია თენაძემ განაცხადა, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება და იგი ყოველწლიურად კობა კურტანიძის დაბადების დღეს 13 ოქტომბერს გაიმართება. მომავალში საასპარეზოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭიდავეებსაც მოიწვევენ.



## ჭადრაკი

# ორი ჩინელი და მელია

**სომხეთის დედაქალაქ ერევანში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც სხვებთან ერთად საქართველოს ცხრა წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

შეჯიბრებაზე ბოლო მე-13 ტურის წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ქართველ მოჭადრაკეებს ოქროს მედლების მოპოვების რეალური შანსი ჰქონდათ. სამწუხაროდ, მათ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს.



ბათუმელი სალომე მელია კარგა ხანს ლიდერობდა ტურნირზე. გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ იგი 8,5 ქულით მონღოლ ბახტიანგ მონგონტუულისთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა. ბოლო ტურში შავი ფიგურებით ვერაფრით დაჯაბნა უნგრელი რუდოლფი და ყაიმს დასჯერდა. 13 შესაძლებლიდან 9 ქულამ კი მხოლოდ ბრინჯაოს მედალი არგუნა. ამდენივე ქულა მოაგროვეს ჩინელებმა – ჩენ იანკმა, 12 წლის ჰიუ იუფანმა და მონგონტუულმა, რომლებმაც კოეფიციენტებით, შესაბამისად, პირველი, მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს. ცხადია, ბოლო ტურში წაფორხილებით ჩემპიონობის დაკარგვა გულდასაწყვეტია, თუმცა, ამგვარ ტურნირში „ბრინჯაოს“ მოპოვებაც ურიგო როდია.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამეკურსელი სალომე მელია თოთხმეტწლიანებში მსოფლიო ჩემპიონი იყო, თექვსმეტწლიანებში – ბრინჯაოს მედალოსანი. შარშან თვრამეტწლიანთა ევროპის პირველობაზე ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი; სხვადასხვა ტურნირებზე დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალიც დაიმსახურა.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ 18-წლიანთა შორის შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა და ამავე ასაკში ევროპის ვერცხლის პრიზიორმა მაკა ფურცელაძემ ერევანში თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა – იგი 7 ქულით მხოლოდ მე-17 ადგილს დასჯერდა. მაკას ერთი ადგილით ჩამორჩა მირანდა მიქაძე (7 ქულაძ. ანა ბუცხრიკიძემ 23-ე (7 ქულაძ, ელისაბედ ზარქუამ კი 29-ე (6,5 ქულაძ ადგილები დაიკავეს.

ჩემპიონობის შანსი გაუშვა ხელიდან ლევან ფანცულაიამაც. იგი გადამწყვეტ ტურში შავი ფიგურებით ზავენ ანდრიასიანს ხვდებოდა. სომეხმა მოჭარაკემ დაზავება მოახერხა და 9,5 ქულით „ოქროსაც“ გამოჰკრა ხელი. ფანცულაიას კი 9 ქულით მე-4 ადგილი ხვდა. მართალია, რუსმა ნიკიტა ვიტიუგოვმა და უკრინელმა იური კრივორუჩკომაც ამდენი ქულა მოაგროვეს, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრეს ქართველ მოჭადრაკეს და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. 7,5 ქულით 21-ე იყო დავით მალალაშვილი. 52-ე ადგილზე გიორგი მარგველაშვილი (6,5 ქულაძ, 65-ე ადგილზე კი დავით ზარქუა (5,5 ქულაძ გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: სალომე მელია.**

ტყუპების ფენომენი

# „ზეცის შვილები“

***თანამედროვე მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ტყუპების ფენომენის ახსნა. არავინ იცის, თუ რატომ განაყოფიერდება ერთდროულად არა — ერთი, არამედ რამდენიმე კვერცხუჯრედი, რის შედეგად იბადებიან სხვადასხვაკვერცხა ტყუპები. ბუნებამ ქალის ორგანიზმში საგანგებოდ დააპროგრამა ნეიროჰორმონალური პროცესები, რომლებიც განაყოფიერების შემდეგ ხელს უშლის ახალი კვერცხუჯრედის განაყოფიერებას. მაგრამ, ბუნების ეს კანონი ზოგჯერ „არ მუშაობს“, განაყოფიერების პროცესი კვლავ გრძელდება, რის შედეგად ჩაისახება კიდევ რამდენიმე ნაყოფი, თანაც არა ყოველთვის ერთი მამისაგან.***

ბნელი ხალხია ბარონგა და ბანტუ — ყველა გაგებით ბნელი. იმიტომაც ცხოვრობენ აფრიკაში, თან ჯადოსნებიც ჰყავთ. სამაგიეროდ ტყუპებს მიაგებენ დიდ პატივს და „ცის შვილებსაც“ უწოდებენ. ცივილიზებული ხალხებისგან განსხვავებით ბანტუს მიაჩნია, რომ სწორედ ტყუპებს შეუძლიათ ამინდის მართვა და, თუ ტომს წვიმის მოყვანა სურს, წყალს მათ აპკურებენ.

ბარონგასა და ბანტუს გარდა მთელ მსოფლიოში სხვა აბორიგენებიც ტყუპებს წმინდანებად მიიჩნევენ. ინდიელი შეზვეპები მათ „მურა დათვებს“ უწოდებენ და გვალვის დროს დაწნულ კალათში წყალს ასხმევინებენ. ტყუპებს ყოველთვის ტბების ნაპირებზე ასაფლავებენ. თუ გვალვიანი ზაფხული დადგება, ჯადოსანი მათ წყალთან უფრო ახლოს გადასვენებას ბრძანებს ხოლმე...

* * *

რამდენიმე წლის წინათ ერთმა კალიფორნიელმა ქალბატონმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა მისი ტყუპი შვილების მამობის აღიარების თაობაზე. სპეციალისტებმა ბავშვების სისხლი გამოიკვლიეს და დაამტკიცეს, რომ ისინი სხვადასხვა მამის ჩასახულები არიან.

* * *

ამ ფენომენს მედიკოსები „ზეგანაყოფიერებას“ უწოდებენ და ყველა ასეთი შემთხვევა საგანგებოდ რეგისტრირდება. XIX საუკუნიდან მოყოლებული მსოფლიოში ზეგანაყოფიერების 10 შემთხვევაა დაფიქსირებული, რომელთაგან ყველაზე საგულისხმოა აშშ-ში მომხდარი ამბავი. საკუთარი თავისა და ახლობლების გასაოცრად, ერთმა ქალბატონმა სხვადასხვაკვერცხა ტყუპი გააჩინა, რომელთაგან ერთი თეთრკანიანი იყო, მეორე კი — შავკანიანი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში ბავშვების ბებიების ახალგაზრდობის ცოდვები არაფერ შუაშია, რადგანაც პატარები ორი სხვადასხვა მამაკაცის ჩასახულები იყვნენ.

* * *

სხვადასხვა ერებს ტყუპები სხვადასხვა სიხშირით უჩნდებათ. ამ მხრივ რეკორდსმენები ამერიკაში მცხოვრები ზანგები არიან, ხოლო მეორე ადგილი იაპონელებს „უკავიათ“, რომლებსაც ათი ათას ბავშვზე 35 ტყუპი ებადებათ. აშშ-ში 88 ახალშობილში ერთი წყვილი ტყუპი ჩნდება, ანუ ყოველი 44-ე ამერიკელი ტყუპისცალია.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ამერიკული დღესასწაულია ტყუპების ყრილობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება და მისი მონაწილეები „ტყუპებივით“ გამოწყობილნი იწონებენ თავს.








# არაჩვეულებრივი მუზეუმი ტორონტოში

**კანადის ქალაქ ტორონტოში უკვე კარგა ხანია გახსნილია მსოფლიოში უნიკალური მუზეუმი, სადაც თავმოყრილია... კონტრაცეპტივების (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების) საკმაოდ მდიდარი კოლექცია, რომლის ზოგიერთი ეგზემპლარის ასაკი... 4 ათას წელს აღემატება(!).**

თავისთავად უნიკალურია ტორონტოს მუზეუმის ძველი ეგვიპტის განყოფილება. დასავლეთელი მეცნიერები უკვე დიდი ხანია შეისწავლიან სამედიცინო მანუსკრიპტებს და სადღეისოდ მეტ-ნაკლებად გაშიფრული აქვთ იმ შორეული ხანის დაახლოებით 2 ათასი სამედიცინო ინსტრუქცია და რეცეპტი. გაშიფვრის სირთულე იმაშია, რომ ძველი ფარმაცევტები რეცეპტებს... პოეტური ფორმით ადგენდნენ. ეგვიპტელი მედიკოსები ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა ფართო სპექტრს იყენებდნენ. იმ ხანებში ნილოსის ნაპირებზე საკმაოდ ცნობილი საშუალება იყო ნიანგის ფეკალიებისგან, აჭრილი რძისა და აკაციის ფისისგან დამზადებული პრეპარატი, რომელსაც, უმეტესწილად, ღარიბი მოსახლეობა იყენებდა. მუზეუმის ერთ-ერთი გამორჩეული ექსპონატია 3500 წლის პაპირუსი, რომელშიც აღწერილია თაფლში არეული ინდისხურმისა და აკაციის ყლორტებისგან დამზადებული მალამო, რომელიც ქალებს ორი-სამი წლის მანძილზე არასასურველი ფეხმძიმობისგან იცავდა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ამ ხალხურ საშუალებას აღმოსავლეთ აზიაში სოფლელი ექიმბაშები ახლაც იყენებენ.

ოჯახის წევრთა რიცხვის წინასწარ დაგეგმვას კაცობრიობა უხსოვარი დროიდან მოყოლებული ცდილობს. 3 ათასი წლის წინათ ძველი ინდოელები ჩასახვის საწინააღმდეგოდ სპილოს ფუნის ბურთულაკებს იყენებდნენ და ამ ხერხის ეფექტიანობა თანამედროვე სპეციალისტებმაც აღიარეს.

პირველი პრეზერვატივები კი თურმე XVI საუკუნის 40-იან წლებში გაჩნდა. მათ ცხოველთა ნაწლავებისგან ამზადებდნენ და საკმაოდ ძვირიც ღირდა. თუმცა ასეთ ნაკეთობებს პირდაპირი დანიშნულებით ყოველთვის როდი იყენებდნენ. ტორონტოს მუზეუმში გამოფენილია ძველებური პრეზერვატივის ნიმუში, რომელსაც... წიგნის ფუტლიარის მაგივრად ხმარობდნენ.



ფანქრის თავგადასავალი

# კოხინორის საიდუმლო

**დიდი ხანია სტერეოტიპად იქცა გამოთქმა, რომ ყოველივე ახალი სხვა არაფერია, თუ არა მივიწყებული ძველი. ჩვენ დრომდე მოაღწია ცნობებმა, რომ გრაფიტის ღეროებს წერისა და ხატვისათვის ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყენებდნენ, მაგრამ ანტიკური ხანის დასასრულს ისინი ისევე დაივიწყეს, როგორც ბევრი სხვა რამ.**

დროდადრო სხვადასხვა მხარეში გრაფიტის საბადოებს შემთხვევით პოულობდნენ, მათ შორის XVI საუკუნეში ინგლისში. ძლიერი ქარიშხლის დროს ქარმა უზარმაზარი ხე წააქცია, გაჩენილი ორმოს ფსკერზე კი გლეხებმა შავი ფერის მბზინვარე ქვის საბადო აღმოაჩინეს. ამოჭრილი ქვის ღეროები ქაღალდზე მკაფიო შავ კვალს ტოვებდა და მალე საზრიანმა გლეხებმა გრაფიტის გამოყენება დაიწყეს — ცხვარს ნიშნავდნენ, კალათებს სხვადასხვა წარწერებს უკეთებდნენ. ერთმა აღლიანმა კაცმა კი ლონდონში ბაწარშემოხვეული გრაფიტის ჩხირების გაყიდვა დაიწყო, რათა დამწერს თითები არ დაეთხუპნა...

მოკლე ხანში გრაფიტის ამბავმა მეფის კარამდე მიაღწია, რომელმაც ბრძანება გასცა: გრაფიტის მოპოვება წელიწადში მხოლოდ ექვსი კვირის მანძილზე ყოფილიყო ნებადართული, რათა საბადო მალე არ გამოლეულიყო. გარდა ამისა, სიკვდილით დასჯის შიშით, აიკრძალა საწერი ჩხირების ინგლისის სამეფოს ფარგლებს მიღმა გატანა.

რბილი ქვის მასიდან თხელ ფირფიტებს ჭრიდნენ, რომლებსაც შემდგომ ღეროებად ანაწევრებდნენ. მერე მათ ღერწმის, ბამბუკისა თუ წითელი ხის ძვირფასი ქვებით მოპირკეთებულ ტანში სვამდნენ. ამ ფანქრების ფასი მართლაც რომ მეფური იყო, ამიტომ მათი ხმარება ერთობ შეზღუდული იყო. თუმცა, ორ საუკუნეში გრაფიტის ის ინგლისური საბადოც დაიშრიტა...

თანამედროვე, ყველასათვის ესოდენ კარგად ცნობილი „ჩვეულებრივი“ ფანქრის გამოგონებას კაცობრიობა შემთხვევას უნდა უმადლოდეს. ერთხელ, ლაბორატორიული ჭურჭლის ფაბრიკის მეპატრონე, ეროვნებით ჩეხი ვინმე იოზეფ ჰარტმუტი მზა პროდუქციას ათვალიერებდა და შემთხვევით ფაიფურის ფინჯანი გაუტყდა. ერთ-ერთი ნამსხვრევი ქაღალდის ფურცელზე გასრიალდა და მკაფიო შავი კვალი დატოვა. ჰარტმუტმა დაადგინა, რომ თიხას გრაფიტის ფხვნილი ჰქონდა დამატებული, რის შემდგომ ამ კომპონენტების სხვადასხვა დოზით შერევის ექსპერიმენტები დაიწყო. ამ ცდების შედეგად ჩეხმა მეწარმემ საწერი ღეროები მიიღო, რომლებსაც „კოხი-ნორი“ უწოდა. ეს ამბავი XVIII საუკუნის მიწურულს მოხდა. ამავე დროს, ჰარტმუტისგან დამოუკიდებლად, ფრანგმა მექანიკოსმა და ფერმწერმა ნიკოლა კონტემ წამოაყენა წინადადება საწერი ღეროების თიხისა და გრაფიტის ფხვნილის ნარევისა და შემდგომ მათი ხის მერქნის გარსში მოთავსების თაობაზე. ასე შეიქმნა 1790 წელს პირველი, ჩვენთვის ამჟამად ესოდენ ჩვეული, ფანქრები.

სადღეისოდ მთელ მსოფლიოში, უპირატესად, კოხინორის ფანქრებს ანიჭებენ უპირატესობას. მათთვის გრაფიტი შრი ლანკიდან ჩამოაქვთ, რომელიც საუკეთესოდ ითვლება, რადგან 99 პროცენტით სუფთა, მინარევების მინიმალური ოდენობით ნახშირბადისგან შედგება.

კოხინორების „სამოსელს“ კი ვირჯინიული ვარდისფერი ღვიის მერქნისგან ამზადებენ, რომელსაც ერთობ საამო სუნი აქვს, თანაც მერქანი წინასწარ დამუშავებას არ საჭიროებს.

კოხინორის მთელი საიდუმლოებაც ეს გახლავთ.



„ღიპუცები“

# მოღალატე გამხდრები

**მოსკოვის სოციოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა გამოარკვიეს, რომ გამხდარი მამაკაცები უფრო „იხრებიან“ ცოლქმრული ღალატისაკენ, ვიდრე მსუქნები. ერთგულად დარჩენის საქებ თვისებას თურმე ისინი ამჟღავნებენ, ვინც არცთუ ძალიან განიცდის ზედმეტ წონას — ანუ ღიპუნებიანი მამაკაცები.**

30-დან 70 წლამდე რუსეთელი მამრის გამოკითხვისას სხეულის მასასა და ღალატისაკენ მიდრეკილებას შორის გამოიკვეთა ასეთი დამოკიდებულება: მეორე ნახევარს ღალატობს ნორმალური წონის მამაკაცთა 23 პროცენტი, ოდნავ სრულთა 19 პროცენტი და მსუქანთა მხოლოდ 11 პროცენტი. ამასთან, სქელუები სექსით გამხდრებზე უფრო იშვიათად როდი არიან დაკავებულნი. ისინი უბრალოდ არ ეძებენ ეგზოტიკურ თავგადასავლებს.



# მანდილოსნებს სქელუები უყვართ

**სპეციალისტების დაკვირვებით, თანამედროვე ქალები სადღეისოდ ხმელ-ხმელ სპორტსმენს კი არა, საშუალო ჩასუქებულობის მამაკაცს ირჩევენ. ნავარჯიშევი სხეული, ერთი გრამი ქონიც კი რომ არა აქვს, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მხოლოდ 15 პროცენტს იზიდავს. 69 პროცენტმა კი აღიარა, რომ „პატარა ღიპუნა ფიზიკურ მიმზიდველობას ასხივებს“. მაინც რატომ?**

— ისინი ინსტინქტურად გრძნობენ, რომ პარტნიორი ჯანმრთელი მამრია, — გვიხსნიან ფსიქოლოგები. — ნაკვეზი მამაკაცის სისხლში აწეულია ესტროგენის დონე, რაც მას გულსისხლძარღვთა დაავადებებისაგან იცავს. ამიტომაც ამჯობინებენ ქალები ტანსრულ პარტნიორებს. აი, როცა წონა იდეალურს აჭარბებს (სიმაღლეს გამოკლებული ასიძ 15 პროცენტით, იწყება სექსუალური დამუხრუჭება. მაშინ საჭიროა გახდომა.

ელამი სარკე

# მოკუნტული თავისუფლება

**— რას ჩაფიქრებულხარ გიგა, — ეუბნება ნიკა ძველ მეგობარს — ცხოვრებამ ხომ არ დაგაბნია?**

— რატომაც არა, ვითომ ცოტა რამ ხდება, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყანაზე დასაბნევი?

— ერთი შენცა, ვინც არ დაიბნა, იმან რა ხეირი ნახა?

— თავისუფლება მოიპოვა, ძმაო, ნანატრი თავისუფლება.

— რომელი თავისუფლება, ახლა რომ გვაქვს და არც გვაქვს?

— შენ მასე გგონია?

— მგონია კი არა, ნაღდად ასეა, ამხელა დედამიწაზე კაცი თავისუფლად ვერ გაჭიმულხარ.

— აბა მოკუნტული ხარ?

— მაშ რა ვარ, შე ჩემა. ერთი მოკუნტვაშილა ვგრძნობ თავისუფლებას.

— ერიჰაა! დედამიწიდან გაქცევას ხომ არ აპირებ?

— განა მარტო მე? ჩემთან ერთად მადონაც მოფრინავს.

— სადა, კაცო, კოსმოსში?

— ჰო, ამას წინათ შეიტანა განცხადება.

— ეგ რომელი მადონა, ცნობილი შოუვარსკვლავი?

— ჰო, ეგა.

— რატომ, მაგასაც არ მოსწონს რუსეთის პოლიტიკა?

— არც რუსეთისა და არც ამერიკისა, თურმე ერაყისა და ირანის მხარეზეა.

— ჰოდა გაფრინდეს, უარს ვინ ეუბნება?

— არავინ, მაგრამ რიგში უნდა ჩადგეო.

— არ გადამრიო, ტო, კოსმოსიც მოსკოვი გამიხდა?

— ეგრეა, ურიგოდ იქაც ვერ გაფრინდები.

— მიშასთან რომ ჩავაწყო საქმე?

— გინდა გაეროსთან ჩააწყვე, არაფერი გამოგივა.

— რატო, ფული აღარსად გადის?

— კოსმოსთან დაკავშირებით არა, ცოცხალი რიგია, თითს ვერ გაანძრევ.

— სულაც ალტერნატიული გზით გავფრინდები, ერევანზე გავლით, არც ეს გამოვა?

— შენც იტყვი რა, კოსმოსთან ერევანს რა კავშირი აქვს?

— სულ არაფერი?

— არაფერი, აზერბაიჯანი არ ატარებს.

— მაშინ ვირჯინიაში ოფშორულ ფირმას გავხსნი, კიდევაც გავფრინდები და მაყუთსაც დავითრევ.

— მერე, ფულს რაში გამოიყენებ, კოსმოსში ბიზნესი ჯერ არ დაუწყიათ.

— აბა ამ ხალხს რა რიგი აუტყდა?

— ეტყობა, სწორედ მაგან დააინტერესა, იქ, ჩემო ძმაო, უფულოდ იცხოვრებენ.

— ფული თუ არ იყო, აბა არც ტერაქტი იქნება, არა?

— ზედა ხარ. ეტყობა, ამიტომაც მთელი შეშინებული ამერიკა რიგშია. ტერაქტები არა, მაგრამ იქ სხვა პრობლემებია.

— რომელი? — დაინტერესდა ნიკა.

— უწონადობა.

— ეგ რას დამაკლებს, საჭმელ-სასმელი ხომ ბლომად იქნება?

— მაგნაირი ჭამა-სმა რად გინდა, კაცს ვერ გაეკარები.

— ქალსა?

— ქალი და სექსი საერთოდ გამორიცხულია.

— რატომ?

— ხომ გითხარი, უწონადობის პირობებში ქალს ვერც ერთ ვარიანტში ვერ მიუახლოვდები.

— რომ დავაბა?

— დაბმული სექსი სად გინახავს, ტო.

— აბა ამერიკა უსექსოდ გაძლებს?

— მეტი რა გზა აქვს, სანამ დედამიწაზე ტორნადოები და ტერაქტები გადაივლის, უნდა მოითმინონ.

— გაგიჟდი, ტო, ამერიკა თუ კოსმოსში გაფრინდა, ჩვენ ვინ დაგვეხმარება?

— რუსეთი.

— გაბრაზებული როა.

— ამერიკას რომ კოსმოსში გაიგულებს, მაშინვე დაწყნარდება, აფხაზეთი და ოსეთი სულ გადაავიწყდება და ხახვივით შეგვრჩება.

**ოთარ ხუციშვილი**




უვიცთა გასაგონად!

# არც ასაღები და არც წასაღები

**ამას წინათ ერთმა დაუფიქრებელმა და, როგორც ჩანს, უვიცმა ტელეჟურნალისტმა ერთ „საგნობრივ“ გადაცემაში ტუტუცურად წამოაყრანტალა (მომიტევეთ ეს გამოთქმები, მაგრამ როგორც ახლავე ვნახავთ, მოსაბოდიშებელი იმას უფრო აქვსძ: ვაკე-საბურთალოს მაგისტრალზე, ფიზიკის ინსტიტუტის წინ, ვიღაც შჩოლკინის ბიუსტი დგას და უნდა აიღონო.**

**კირილე შჩოლკინი** (1911-1968ძ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო (ადრე სტალინურიძ პრემიის ოთხგზის ლაურეატი, ლენინური პრემიის ლაურეატი, წვისა და აფეთქების ფიზიკის დიდი სპეციალისტი, სსრ კავშირში ატომური პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი — ეს არის „ვიღაც“?...

ეგებ ღირს, რომ ზოგიერთ მედროვესა თუ ახალ დროებაზე მორგებულს, „თავს რიდე-დგმულსა და სიამაყით გულზე მოსულს“ განვუმარტოთ: სსრ კავშირის აკადემიის წევრობა, სოციალისტური შრომის გმირობა (სამგზის, მით უფროძ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა (ოთხგზის, მით უფროძ, ლენინური პრემიის ლაურეატობა საბჭოურ ხანაში დაფასების, გამორჩევის, წარჩინების საპატიო და სასახელო ნიშნები გახლავთ და სწორედ გამორჩეულ და სახელოვან მუშებს, მეურნეებს, ხელოვანებს, მწერლებს, მეცნიერებს მიეკუთვნებოდათ, ჰაიჰარად არ რიგდებოდა და დღეს, როცა „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“ — საქირდავად და საქირქილოდ არ უნდა გავხადოთ.

კირილე შჩოლკინი „ვიღაცა“ კი არა, თბილისში დაბადებული, „პირწავარდნილი“ ზემელელი, კერძოდ, ყოფილი მოსკოვის ქუჩის მკვიდრი, იქ ბავშვობაგატარებული და, ამდენად, ჩვენი თანამემამულე, თანამიწელი, გამოჩენილი სწავლული და მოქალაქეა. ამიტომაც მისი ბიუსტი სულაც არ არის უცხო ან შეუფერებელი თბილისური მიწისათვის, თანაც სწორედაც რომ თავის ადგილზე დგას — თამარაშვილის ქუჩის სკვერში, ფიზიკის ინსტიტუტის შენობის წინ.

აქ კი შევეშვები „თვითმოქმედებას“ და სიტყვას ცნობილ პიროვნებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ჯუმბერ ლომინაძეს გადავცემ. თუ რატომ — ბატონ ჯუმბერს, ამასაც ახლავე ვნახავთ.

— ამ გამოჩენილ ადამიანზე ლაპარაკის ნებას იმიტომ მივცემ თავს, რომ პირადად ვიცნობდი. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბედმა გამიღიმა და მეცნიერული მუშაობა მისი ხელმძღვანელობით დავიწყე სწავლული მეატომეების ქალაქში „ჩელიაბინსკი-70“. ჩვენზე, ახალგაზრდა სპეციალისტებზე, კირილე შჩოლკინს, როგორც მეცნიერს, ორგანიზატორს, პიროვნებასა და მოქალაქეს, უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. ერთმანეთში ხშირად ვამბობდით: ეს კაცი მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორია, რომელიც ნათლად ხედავს მიზანს და მტკიცედ მიიწევს წინ კოლექტივის თანხლებით. კირილე ივანეს ძე ჩაფლული იყო სამუშაოში და სხვაგვარად ცხოვრება ვერც წარმოედგინა. ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის არ არსებობდა უფრო დიდი ავტორიტეტი.



ის გახლდათ კურჩატოვის მეგობარი და თანამოღვაწე, მასთან, აგრეთვე ხარიტონთან, ზელდოვიჩთან და სახაროვთან ერთად იღებდა სოციალისტური შრომის გმირის მედლებს... 1955 წელს, როცა მთავრობის დადგენილებით ურალში მთელს კავშირში მეორე ბირთვული ცენტრი „ჩელიაბინსკი-70“ შეიქმნა, პირველ მეცნიერულ ხელმძღვანელად კირილე შჩოლკინი დაინიშნა. იშვიათი უნარი ჰქონდა კაცის დაინტერესებისა და გატაცებისა. ფუტკრებივით ვეხვეოდით გარშემო, ვგრძნობდით, რომ მის გვერდით ყველაფერი შეგვწევდა.

ექსპერიმენტატორად უნდა დაიბადო და შჩოლკინის მაგალითი ამის დადასტურებაა. ლენინგრადში ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტმა შეასრულა რამდენიმე ღრმა გამოკვლევა და რთული ექ-



სპერიმენტი. 1938-ში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სადოქტოროზე მუშაობა ომმა შეუფერხა. 1941-ის ივლისში მოხალისედ შევიდა სახალხო ლაშქარში. ეგებ ბედს სასიკვდილოდაც გაეწირა, მაგრამ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სტალინს არმიიდან ყველაზე ნიჭიერი სწავლულების გამოწვევის თხოვნით მიმართა. უმაღლესმა მთავარსარდალმა მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და ფრონტიდან გამოძახებულთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერი კირილე შჩოლკინიც. ამას მოჰყვა სადოქტოროც და საოცრად წარმატებული მეცნიერული კარიერაც.

... 1982 წლის მარტში, გამოჩენილი სწავლულის ძეგლს რომ ვხსნიდით, თბილისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბნენ კოლეგები, მოწაფეები, მეგობრები. ცერემონიაზე მამის სამშობლოში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ანა კირილეს ასული და ფელიქს კირილეს ძე. ფელიქსმა მერე საგულისყურო წიგნი გამოსცა მშობელზე — „ატომური საუკუნის მოციქული“ (მოსკოვი, 2004წ.). ანა შჩოლკინამ კი მაშინ, გახსნაზე, შენიშნა, ბიუსტის ავტორებს ზუსტად გამოუხატავთ მამაჩემის ძლიერი და მიზანსწრაფული ხასიათიო. ავტორები კი ქართველები არიან — მოქანდაკე გ. თოიძე და არქიტექტორი გ. ჩიჩუა...

2001 წელს, მაისში, კირილე შჩოლკინის 90 წლისთავზე, სრულიად რუსეთის ტექნიკური ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ასეთი სტრიქონებიც იყო: „ჩვენ ღრმად მადლიერი ვართ თქვენი ქვეყნისა კირილე ივანეს ძე შჩოლკინის ბიუსტის შენახვისა და მოვლისათვის“...

მეც ვაძლევ თავს ნებას აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის ნაამბობისთვის რამდენიმე სიტყვის დამატებისა.

მეატომე შჩოლკინი, „დასხივებული“, ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან. ამ მხრივ ცოლ-ქმარი ჟოლიოკიურების, ფერმის, კურჩატოვის, ზერნოვისა და სხვა არაერთი „დასხივებული“ დიდი მკვლევარის ბედის მოზიარე გახდა; მაგრამ ამ ქვეყნიდან ადრე წასული, მეცნიერების ისტორიასა და მსოფლიო ინტელექტუალურ ხსოვნას მარად შემორჩება.

2011 წელს კირილე შჩოლკინს დაბადების 100 წელი შეუსრულდება. ვფიქრობ, მისი ბიუსტი იუბილეს იმავე ადგილას დახვდება — თამარაშვილის ქუჩაზე, სკვერში, ფიზიკის ინსტიტუტის შენობის წინ.

**თამაზ ებანოიძე**

## სარწმუნოება

# გრიგოლ ხანძთელი — კლარჯეთის სავანის აღმშენებელი

**გუშინ ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ ღირსი გრიგოლ ხანძთელის მოხსენიების დღე აღნიშნა. ის დიდგვაროვანთა შვილი იყო და ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა.**

VIII საუკუნეში მურვან ყრუმ მოაოხრა და გააუდაბურა კლარჯეთი. ამ დროს წმიდა აშოტ კურაპალატი ქართლიდან კლარჯეთს ჩავიდა და მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული არტანუჯი სატახტო ქალაქად გამოაცხადა.

...სწორედ იმხანად ეწვია კლარჯეთს ღვთივსულიერი კაცი — ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი. მან თან წარიყვანა სამი თანამოსაგრე: დედის დისწული საბა — იშხნის განმაახლებელი და ეპისკოპოსი თეოდორე — ნეძვის აშენებელი და ქრისტეფორე — კვირიკეთის აშენებელი. ძმებმა ორი წელი ილვაწეს ერთად, შემდეგ კი გრიგოლი ბერ ხუედიოსს ეწვია, რომელმაც ღირს მამას წმიდა ხანძთის სანახები დაათვალიერებინა. გრიგოლს ძალიან მოეწონა იქაურობა და ძმებთან ერთად მონასტრის აშენება დაიწყო.

აზნაურმა გაბრიელ დაფანჩულმა და აშოტ კურაპალატმა ბერებს მატერიალური დახმარება გაუწიეს. ღირს მამას გვერდში ედგნენ: ბასილი ხანძთელი, ზენონ სამცხელი, ილარიონ საბაწმინდელი. გრიგოლ ხანძთელის მადლმოსილი მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოსაც მისწვდა და იმერ-ამერის საზღვარზე უბისის მონასტერი ააშენა.

ღირს გრიგოლს წინასწარ



ეუწყა უფლისგან აღსასრულის დღე. ის 102 წლის ასაკში გარდაიცვალა 861 წლის 18 ოქტომბერს.

წმინდანის ნეშტი, საკუთარი ანდერძისამებრ დაკრძალეს ხანძთის მონასტერში.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ანეკდოტები

**— ყველა მამაკაცი საშინელი მექალთანეა!**

**— ნუთუ ყველა?**

**— რა თქმა უნდა. თუ ვინმე ასეთი არ არის, მას შეიძლება საერთოდ კაცი ეწოდოს?**

* * *

**ორი ნარკომანი ტროლეიბუსში ზის.**

**— ამ ტროლეიბუსით სადგურამდე მივალ? — ეკითხება ერთი მძღოლს.**

**— არა.**

**— ვერც მე? — ეკითხება მეორე.**

* * *

**— როგორ უნდა დაარწმუნო ქალი, რომ უსაფრთხოდ შეუძლია გზის გაგრძელება, თუნდაც იგი შავმა კატამ გადაუჭრას?**

**— უმჯობესია, კატა დაიყოლიო უკან დაბრუნებაზე.**

* * *

**ქალღლს წინ ხორცის ნაჭრები უყრია და ჭამს.**

**— ამდენი საჭმელი სად იშოვე? — ეკითხება მეორე ძაღლი.**

**— აი, ეს ნაჭერი კატას წავართვი.**

**— დანარჩენები?**

**— დანარჩენები თვითონ კატაა.**

* * *



**ერთმა ტიპმა ერთხელ ძალიან აგდებულად შეაფასა ნაკლებად ცნობილი მხატვრის ნამუშევრები, რამაც ეს უკანასკნელი ერთობ გაალიზიანა.**

**— როგორ შეგიძლიათ ფერწერაზე საუბარი, როდესაც ერთი სურათიც არ დაგიხატავთ? — უსაყვედურა მან ტიპს.**

**— მერე რა, რომ არ დამიხატავს? მე ერთი კვერცხიც არასდროს დამიდვია, მაგრამ ამის გამო ერბოკვერცხის გემოზე აზრი ვერ უნდა გამოვთქვა?**

## ლარის კურსი

**19 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2297 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7405 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1833 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0646 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9901 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,44545 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4623 ლარი. |

## დარია თუ ავდარია




**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +11⁰ – +17⁰, ღამით +10⁰ – +14⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +12⁰ – +18⁰, ღამით +10⁰ – +15⁰.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +12⁰, დღისით +18⁰.

---

მეუღლე ლილი ტაბატაძე-მახარაძე, შვილები გიგა, თამრიკო, ძმისწული ავთო მახარაძე, რძალი როზა გურგენიძე, ძმისწულისშვილი ირმა მახარაძე, ცოლისძმები ზურა, კოტე ტაბატაძეები ოჯახებით, ვანიკო, გუგა წერეთლები ოჯახებით, ნინო ტაბატაძე, სოფიკო ცინცაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი ფილიპეს ძე მახარაძე

პანაშვიდი 19, 20 X, 17 სთ. ს. ჩიქოვანის 6ა (ყოფ. ხილიანის II სად. IV სართ. გამოსვენება 21 X, 14 სთ. ფერისცვალების დედათა მონასტრიდან. ავლაბარში (ყოფ. დარეჯანის სასახლეძ.

---

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ელენე ტაბატაძე-მახარაძის მეუღლის

დიმიტრი მახარაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი თანაუგრძნობს თამარ გეგენავას და მის ოჯახს

მიხეილ გეგენავას

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი

ჰამლეტ თუთბერიძე

დაკრძალვა 19 X, 14 სთ. გალის ქ. №10.



---

ლია ლადუა, ნუნუ ავალიანი, ქუქუნა თევდორაძე, დოდო იორდანიშვილი თანაუგრძნობენ მერი ჩარკვიანს მეუღლის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ლევან, გია სურგულაძეები ოჯახებით იუწყებიან

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

იოსებ ხარატიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს თეიმურაზ ჩარკვიანს მამის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება სამშენებლო კომპანია „თბილისის" კოლექტივი მწუხარებით აღნიშნავს და თანაგრძნობას უცხადებს კომპანიის გენერალურ დირექტორს ბატონ თეიმურაზ ჩარკვიანს მამის

ოთარ იოსების ძე ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უზნაძის ქუჩის №2-ში მცხოვრები მეზობლები სამძიმარს უცხადებენ მერი ჯაფარიძე-ჩარკვიანს მეუღლის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ნინო, ასმათ ბანძელაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ჩარკვიანი

და სამძიმარს უცხადებენ მერი, თემურ და რუსუდან ჩარკვიანების ოჯახს.

---

დოდო, კოტე ქორჩილავები, დოდო იმნაიშვილი, ლილი გაბისონია, მარიამ კანდელაკი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ჩარკვიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მარინა, სოსო წულაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

მანანა, გია სიგუები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, ბიძის

ოთარ იოსების ძე ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

რეზო მხეიძე, კარლო კარკალაია, ლევან სურგულაძე, რევაზ მუქერია, ამიკო მელუა იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.